

ა (ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

სპეციალობა: "ფინანსები"

ირმა დავითაძე

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი და მისი გავლენა
სამეწარმეო საქმიანობაზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ბიზნესის ადმინისტრირების

დოქტორი: ჰაატა ბერიძე

ხიჭაური -2019

ანოტაცია

ნაშრომი „მოგების გადასახადის ესტონური მოდელი და მისი გავლენა სამეწარმეო საქმიანობაზე“ ეხება თანამედროვე საქართველოსთვის მეტად აქტუალურ პრობლემას. ნაშრომი შედგება 61 გვერდისგან და მოიცავს: შესავალს, ორ - თავს, დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხასა და დანართს.

თემის აქტუალური ხასიათი გამომდინარეობს იქედან, რომ გადასახადები არის სახელმწიფოს მამოძრავებელი მექანიზმი, ვინაიდან ქვეყნის ბიუჯეტში არსებული თანხის უმეტესი ნაწილი სწორედ სხვადასხვა გადასახადების ერთობლიობას წარმოადგენს. იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს ფუნქციონირება, აუცილებელია მას გააჩნდეს ფულადი რესურსი ყველა იმ საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისა და წინსვლისთვის.

თემაში განხილული მკვლევარებისა თუ მეცნიერებების მოსაზრებები და დასკვნები გვაძლევს საშუალებას დავინახოთ როგორ დაიხვეწა და უკეთესობისკენ შეიცვალა საგადასახადო სისტემა. ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კონსტიტუციაში და ცალკე კანონის სახით ჩამოყალიბებული დებულებები წინგადადგმული ნაბიჯია. უკანასკნელ წლებში საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნება გამომწვეულია ბიზნეს აქტიურობის ზრდით და საგადასახადო ბაზის გაფართოებით. მნიშვნელოვანმა შინაარსობრივმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში საგადასახადო გარემოს გაუმჯობესებას.

ერთ-ერთი ცვლილება, რომელიც საქართველოს მთავრობამ განახორციელა საგადასახადო სფეროში, არის მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება. რეფორმა გულისხმობს კომპანიის გათავისუფლებას მოგების გადასახადისგან, თუ იგი მოახდენს ამ მოგების რეინვესტირებას ფირმის გაფართოების მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მოგება გამოიყენოს თავის სასარგებლოდ და გაზარდოს ბიზნესი, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბიზნეს სექტორის წინსვლას და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებას. თემაში მოცემულია აგრეთვე ესტონური

მოდელის გავლენის კონკრეტული მაგალითები და ქართული კომპანიების ბუღალტრების შეფასებები, რომელიც იძლევა უფრო მკაფიო და ნათელ სურათს რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესაფასებლად.

Annotation

The thesis "The Estonian Model of Profit Tax and Its Influence on Entrepreneurial Activity" is an actual problem for modern Georgia. The thesis consists of 53 pages and includes: introduction, two - chapters, conclusion and list of used literature.

The actual character of this topic is derived from the fact that taxes are the state's driving mechanism, because that the country's budget is represented by the combination of different taxes. In order that the state can made its main responsibilities and function, it is necessary to have a material resource to carry out all the activities which will improve the country's economic situation and will increase of well-being business environment.

The opinions and conclusions of the researchers and scholars discussed in the topic give us the opportunity to see how the tax system has been improved and forwarded. The provisions set forth in the Constitution of Georgia and a separate law to ensure economic freedom are a step for the future. During the last years, the growth of economical temp in Georgia is due to the growth of business activity and the expansion of tax base. Important and maintain changes in this side helped to improve the tax environment in the country.

One of the changes that the Georgian government has implemented in the tax field is the introduction of the Estonian tax on profit tax. The reform implies the company's exemption from profit tax, if it will reinvest the profit for the expansion of the firm. This means that the company can use profit in its favor and increase the business, which in turn will promote business sector growth and strengthen the country's economic situation. The topic also includes specific examples of Estonian model influence and assessment of Georgian companies' accountants, which gives a clear picture about positive and negative impact of the reform.

სარჩევი

შესავალი (თემის აქტუალობა; კვლევის მიზანი და ამოცანები; საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები) 5 გვ.

თავი I

საგადასახადო სისტემის რეფორმის სრულყოფის საკითხები საქართველოში

§ 1.1 საგადასახადო სისტემის არსი..... 7 გვ.

§ 1.2. საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმის ზოგადი მიმოხილვა..... 17 გვ.

§ 1.3. საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების შედეგები..... 26 გვ.

თავი II

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი

§ 2.1 მოგების გადასახადი..... 38 გვ.

§ 2.2 მოგების გადასახადის ესტონური მოდელი და მისი გავლენა სამეწარმეო საქმიანობაზე..... 39 გვ.

დასკვნა..... 49 გვ.

გამოყენებული ლიტერატურა..... 52 გვ.

დანართი..... 55 გვ.

შესავალი

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ფონზე აუცილებელია საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის თეორიული ასპექტების და მათი პრაქტიკული რეალიზაციის კომპლექსური კვლევა. სამეცნიერო ნაშრომებში და სხვადასხვა სახელმძღვანელოებში საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საკითხები ფრაგმენტულადაა განხილული, სახელმწიფოს კომპლექსურ ეკონომიკურ სტრატეგიასთან მჭიდრო კავშირის გარეშე. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები, მათი წარმატება და წარუმატებლობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სახელმწიფოს სოციალურად ორიენტირებულ საგადასახადო პოლიტიკაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საინვესტიციო აქტივობა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების სტიმულირებისა და საგადასახადო ორგანოების ამოცანებისა და ინტერესების თანხვედრა.

თემის აქტუალობა განპირობებულია უკანასკნელი წლების პრაქტიკით, რომელმაც აჩვენა საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების სისტემური მიდგომის ობიექტური მოთხოვნილება. ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მისი საგადასახადო შემადგენელი, რომელიც მოითხოვს ყოველ მხრივ დასაბუთებას და სისტემურ გადანაცვებას საქართველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმების ფონზე, რაც თავისთავად გულისხმობს საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფას.

საგადასახადო პოლიტიკის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის და მიმდინარე საგადასახადო რეფორმების შედეგიანობის მიზნით მიზანშეწონილია

მაკრო და მიკრო დონეზე სხვადასხვა სამეცნიერო მიდგომების გამოყენება. გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია საგადასახადო პოლიტიკის კონცეფციის სტრუქტურის შემუშავება სხვადასხვა ქვეყნებისა და მათ ფონზე საქართველოს საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო სისტემების სისტემური შესწავლის საფუძველზე, საგადასახადო პოლიტიკის მეთოდოლოგიური და ინსტიტუციონალური ასპექტების სრულყოფა და თეორიული ბაზის ანალიზი, საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის დეტალური მექანიზმების განსაზღვრა.

თემის დამუშავების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ფინანსებისა და საგადასახადო დაბეგვრის სფეროში მოღვაწე ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების ფუნდამენტალური ნაშრომები. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სხვადასხვა ნორმატიული აქტების დებულებები.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა ურუნალებისა და გაზეთების პუბლიკაციები, სტატისტიკური მონაცემები და ელექტრონული რესურსები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საგადასახადო რეფორმების ანალიზი სახელმწიფოს კომპლექსური ეკონომიკური სტრატეგიის ჩარჩოში, რომელიც მიმართული იქნება სამენარმეო აქტიურობის ამაღლებისკენ.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ საფუძვლად გვევლინება: გადასახადების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე მომუშავე მკვლევართა და ანალიტიკოსთა ნაშრომები, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციები, სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალები, არასამთავრობო ორგანიზაციების ანალიტიკური გამოკვლევები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურების სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები.

კვლევის ობიექტია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ-საგადასახადო რეფორმების მიმართულებები, სახეები, ფორმები და მეთოდები.

კვლევის საგანია ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა საგადასახადო დაბეგვრის და მთლიანობაში საგადასახადო პოლიტიკის გატარების დროს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ გაკეთებული დასკვნები და მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას გადასახადების საკითხებზე მომუშავე პირების და საჯარო სამსახურში დასაქმებულ მუშაკთა მიერ.

თავი I : საგადასახადო სისტემის რეფორმის სრულყოფის საკითხები


საქართველოში

§ 1.1 საგადასახადო სისტემის არსი

საგადასახადო სისტემა, სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების კონკრეტული ინსტრუმენტია, ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების რეალიზაციის წყაროს. გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ მთელი ქვეყნის ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება და მდგრადი განვითარება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული გონივრულ საგადასახადო სისტემაზე.

XIX საუკუნის ბოლოს მოხდა სახელმწიფოს ფისკალური ინტერესების შეჯახება ეკონომიკის განვითარების ინტერესებთან, რომელიც ითხოვდა მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით. იმ დროისთვის არაპირდაპირი გადასახადები წარმოადგენდნენ ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროს, ამიტომ საჭირო იყო ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ხაზინის შემოსავლების „სიუხვეს“ არ შეეხებოდა და ამავდროულად ხელს შეუწყობდა წარმოების სტიმულირებას. თეორიული მსჯელობანი, რომელიც ძირითადად ეხებოდა პირდაპირი და ირიბი გადასახადების თანათარდობას პირდაპირ უკავშირდებოდა არსებული საგადასახადო სისტემის რეფორმირების საკითხებს. საგადასახადო სისტემა, როგორც რთული ფინანსური მოვლენა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მაღალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია. სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ (ნახ.1).

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, საგადასახადო სისტემის არსი სხვადასხვანაირად იყო გააზრებული. ჯ. მილი, რომელიც არ იძლეოდა საგადასახადო სისტემის განმარტებას, გამოთქვამდა მოსაზრებას სხვადასხვა გადასახადების „ერთობლიობაში“ გამოყენების შესახებ.



ნახ. 1. საგადასახადო სისტემის შექმნის აუცილებელი პირობები

მან პირველმა ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები გადასახადების სისტემაზე. მისი პრინციპული მიდგომა იმაში მდგომარეობდა, რომ გადასახადებს არ უნდა შეეფერხებინა წარმოების განვითარება და არ უნდა შეხებოდა დაბეგვრა პირველადი მოხმარების საცნებს. მისი აზრით, არ არსებობს გადასახადი რომელიც არ შეიცავს არასამართლიანობის ელემენტებს, ამიტომ მხოლოდ გადასახადების

მრავალფეროვნებაა ერთადერთი შესაძლო ვარიანტი ამ უსამართლობის შემცირებისა.

ა. ვაგნერმა, როგორც გერმანული ეკონომიკური სკოლის ლიდერმა შეძლო საგადასახადო დაბეგვრის პრინციპების ისე ჩამოყალიბება, რომ ისინი საფუძვლად დაედო საგადასახადო პოლიტიკას. მან განმარტა საგადასახადო სისტემა, როგორც გადასახადების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა ფისკალური ფუნქციის განხორციელებისა. ფინანსურმა მეცნიერებამ ჩამოაყალიბა საგადასახადო სისტემის და მისი ფუნქციების განსაზღვრება, რომელთა შორის მთავარია ფისკალური ფუნქცია. ამასთან განმარტა საგადასახადო სისტემის ნეიტრალური ხასიათი, რაც პასუხობდა ნეოკლასიკური სკოლის პრინციპებს და გულისხმობდა ეკონომიკაში სახელმწიფოს არ ჩარევის პოლიტიკას.

ვნახოთ როგორია საგადასახადო სისტემის განმარტება ეკონომიკურ ლიტერატურაში.

დიდი ეკონომიკური ენციკლოპედიის მიხედვით „საგადასახადო სისტემა-გადასახადების, მოსაკრებლების, ბაჟისა და სხვა გადასახდელების ერთობლიობაა, რომელთა ამოღება ხდება სახელმწიფოს ტერიტორიაზე“. ზოგიერთი წყაროს განმარტებით საგადასახადო სისტემა - ეს ურთიერთდაკავშირებული გადასახადების ერთობლიობაა, რომელთა ამოღებაც ხდება ქვეყანაში. ამასთან ეს სისტემა მოიცავს საგადასახადო დაბეგვრის ფორმებსა და მეთოდებს, გადასახადების ამოღებისა და გამოყენების წესებს.

საგადასახადო სისტემის დეტალური დახასიათება შეიძლება ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების ანალიზის საფუძველზე.

ეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება მაჩვენებლები:

- საგადასახადო დაბეგვრის მთლიანი განაკვეთი, რომელიც იანგარიშება როგორც თანათარღობა საგადასახადო შემოსავლების მთლიანი ჯამისა დამატებულ ღირებულებასთან.

- საგადასახადო ტვირთი, რომელიც გვიჩვენებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დატვირთვის მაჩვენებელს კონკრეტულ საგადასახადო სისტემაში.

- პირდაპირი და ირიბი გადასახადების თანათარღობა - ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ირიბი გადასახადების ხვედრითი წილი ყოველთვის მეტია, რადგან უფრო მარტივია მათი კონტროლისა და ამოღების მექანიზმები, ამასთან პირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის ბაზა მცირეა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგადასახადო სისტემა - ეს არის გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებული მისი შემადგენელი ელემენტების მიზნობრივი ერთობა, რომელიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულნი არიან.

ასეთი ელემენტებია: საგადასახადო კულტურა, საგადასახადო სფეროს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, გადასახადებისა და მოსაკრებლის ერთობლიობა, საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმები და გადასახადის გადამხდელები. (ნახ.2).

საგადასახადო კულტურა - არის საზოგადოების ეკონომიკური მსოფლმხედველობის ნაწილი, რომელიც საფუძვლად უდევს სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

საგადასახადო სფეროს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა - საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საგადასახადო სფეროში მიღებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები.

გადასახადებისა და მოსაკრებლის ერთობლიობა - დამყარებულია კანონებზე, რომლითაც განსაზღვრულია დაბეგვრის ობიექტები და სუბიექტები, საგადასახადო დაბეგვრის ბაზა, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო შეღავათები.

სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა

ელემენტები, რომელთა გარეშე საგადასახადო სისტემა ვერ იფუნქციონირებს



ნახ. 2 საგადასახადო სისტემის აუცილებელი ელემენტები


საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმები - გადასახადების ბიუჯეტში ამოღების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა.

გადასახადის გადამხდელები - საგადასახადო დაბეგვრის სუბიექტები და ობიექტები მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

საგადასახადო სისტემის კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, (ნახ.3):

საგადასახადო ტვირთის ღონის მიხედვით - არის ლიბერალურ-ფისკალური (საგადასახადო ტვირთი მშპ-ის 30%-მდე - აშშ, ავსტრალია, იაპონია, პორტუგალია), ზომიერად ფისკალური (საგადასახადო ტვირთი მშპ-ის 30-40% - გერმანია, ესპანეთი, საბერძნეთი, კანადა, დიდი ბრიტანეთი),

მკაცრად ფისკალური (საგადასახადო ტვირთი მშპ-ის 40% მეტი - ნორვეგია, შოლანდია, ბელგია, დანია, შვედეთი).



ნახ. 3 საგადასახადო სისტემების კლასიფიკაცია

არაპირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის დონის მიხედვით - საშემოსავლო, რომელიც მთავარ აქცენტს აკეთებს შემოსავლისა და ქონების დაბეგვრაზე; აქ არაპირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის წილი არ აჭარბებს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 35%-ს (აშშ, კანადა, ავსტრალია); ზომიერად არაპირდაპირი, რომელიც თანაბრად ანაწილებს საგადასახადო ტვირთს როგორც შემოსავალზე, ასევე მოხმარებაზე; აქ არაპირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის წილი მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 35-30%-ია (გერმანია, საფრანგეთი, იტალია). არაპირდაპირი, რომელიც აქცენტს აკეთებს მოხმარების დაბეგვრაზე; აქ არაპირდაპირი გადასახადები უზრუნველყოფენ მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 50%-ზე მეტს (არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ინდოეთი, პაკისტანი).

საგადასახადო უფლებამოსილების ცენტრალიზაციის დონის მიხედვით- ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კონსოლიდირებული საგადასახადო შემოსავლების 65%-ზე მეტს (საფრანგეთი, ჰოლანდია, ავსტრია);

ზომიერად ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფედერალური გადასახადების მობილიზების 55-65%-ს (ავსტრია, გერმანია, ინდოეთი); დეცენტრალიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფედერალური გადასახადების მობილიზებას 55%-მდე (აშშ, კანადა, დანია).

საგადასახადო დაბეგვრის შემდეგ ეკონომიკური უთანაბრობის დონის მიხედვით- პროგრესული-პროგრესიულია გადასახადი თუ დასაბეგრი თანხის ზრდასთან ერთად გადასახადი თანხის წილი უფრო მეტად იზრდება (მაგ:ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი).

რეგრესიული- რეგრესიულია გადასახადი,თუ შემოსავლების ზრდასთან ერთად დაბეგრილი თანხის სიდიდე პროპორციულად მცირდება. ამ კატეგორიის გადასახადებს მიეკუთვნება ფიქსირებული გადასახადები (ძირითადად არაპირდაპირი).

პროპორციული-პროპორციულია გადასახადი, თუ დასაბეგრი თანხის ზრდასთან (შემცირებასთან) ერთად პროპორციულად იცვლება გადასახადის აბსოლიტური სიდიდე, ანუ გადასახადის პროცენტი რჩება მუდმივი.

საგადასახადო ურთიერთობები რეგლამენტირებულია კანონებითა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, რომელიც ქმნის საგადასახადო დაბეგვრის სისტემის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას. გადასახადის აღნიშნული ბაზა აწესრიგებს ურთიერთობებს;

- სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის.
- საგადასახადო ორგანოებსა და გადასახადის გადამხდელებს შორის.
- გადასახადის გადამხდელებს შორის.

საგადასახადო კანონმდებლობა საგადასახადო კოდექსის გარდა სხვა კანონებსა და ნორმატიულ აქტებს მოიცავს, რომლებიც გარკვეული იერარქიით არიან წარმოდგენილი, (ნახ.4) კერძოდ:

საგადასახადო დაბეგვრის სფეროს ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის წარმოები

1	საქართველოს კონსტიტუცია
2	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები
3	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები
4	საქართველოს საგადასახადო კოდექსი
5	საქართველოს კანონები, რომლებიც შეიცავენ საგადასახადო სამართლის ნორმებს
6	საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

ნახ. 4. იერარქია და სტრუქტურა საგადასახადო დაბეგვრის სფეროს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის წყაროები

საქართველოს ნორმატიული აქტები უპირატესი ძალის მიხედვით ჯგუფდება იერარქიის პრინციპით. თუ იერარქიის ზედა საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება ქვედა საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტებს, მაშინ მოქმედებს ზედა საფეხურის ნორმატიული აქტი. ერთი და იგივე საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტებს აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, ხოლო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.

იურიდიული ძალის მიხედვით არსებობს ნორმატიულ აქტების შემდეგი საფეხურებრივი იერარქია:

1. საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კონსტიტუციური კანონი
2. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება
3. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება
4. საქართველოს ორგანული კანონი
5. საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი
6. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება
9. საქართველოს მინისტრის ბრძანება
10. საკრებულოს დადგენილება

საგადასახადო ადმინისტრირება წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზის ქვემდებარე მაგრამ ამავე დროს საგადასახადო სისტემის არანაკლებ მნიშვნელოვან ელემენტს. სამწუხაროდ ტერმინი „საგადასახადო ადმინისტრირება“ ისევე როგორც „საგადასახადო სისტემა“ ქართულ კანონმდებლობაში სრულფასოვნად და გასაგები ენით არ არის განმარტებული, მაგრამ ეს ტერმინები იმდენად მყარად დამკვიდრდა სამეცნიერო და პრაქტიკულ ლექსიკონში, რომ მათ გარეშე წარმოუდგენელია საგადასახადო ურთიერთობათა განხილვა. ყველაზე ხშირად საგადასახადო ადმინისტრირებას ახასიათებენ როგორც საგადასახადო ურთიერთობების მართვის სისტემას, რომელიც ამავდროულად საგადასახადო ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას უზრუნველყოფს.

ჩემი აზრით საგადასახადო ადმინისტრირება არის საგადასახადო წარმოების პროცესის მართვა, რომელსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ.

საგადასახადო ადმინისტრირების საგანია-საგადასახადო წარმოება ობიექტი - ამ წარმოების მართვის პროცესი, ხოლო სუბიექტი-საგადასახადო ორგანოები.

საგადასახადო წარმოება - ეს არის კანონმდებლობით დადგენილი ხერხების, მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ გადასახადის გადამხდელების საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების განსაზღვრულ წესს და საგადასახადო ორგანოების უფლებამოსილებებს გადასახადის გადამხდელების მხრიდან ვალდებულებების შესრულების კონტროლის რეგულირებისა და იძულების საქმეში.

საგადასახადო ორგანოების მთავარ ფუნქციებად შეგვიძლია განვიხილოთ საგადასახადო წარმოების პროცესის მართვა, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, კონტროლს, რეგულირებასა და იძულებას.

საგადასახადო სისტემის საფუძველი - საგადასახადო კანონმდებლობა საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიაში საკმაოდ ხშირად იცვლებოდა, რაც თავისთავად საგადასახადო სისტემის არასტაბილურობას უწყობდა ხელს.

1991 წლის 25 ივლისს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი „საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“. რომელიც ძალაში შევიდა 1992 წლის 1 იანვრიდან. ფაქტიურად ეს იყო საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების პირველი იურიდიული დოკუმენტი.

1993 წლის 21 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 1 იანვრიდან. ამ კანონთან ერთად, მიღებული იქნა მთელი რიგი კანონებისა, კერძოდ „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) შესახებ“, „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“, „აქციზების შესახებ“, „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“, „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“, „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“; სწორედ ეს კანონები გახდა საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების იურიდიული საფუძველი.

1997 წელს 13 ივნისს მიღებული იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, რომელმაც გააერთიანა თავის თავში საგადასახადო დაბეგვრის სფეროში მანამდე არსებული კანონმდებლობა.

2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული იქნა მეორე „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, რომელიც ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვრიდან.

2010 წლის 17 სექტემბერს მიღებული იქნა საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში მესამე „საგადასახადო კოდექსი“, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო კოდექსში დღეის მდგომარეობით 155 ცვლილებაა შეტანილი.

ამჟამად მოქმედ კოდექსში შეტანილმა სერიოზულმა ცვლილებებმა ჩემი აზრით ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საგადასახადო სისტემის მდგრადობას.

§ 1.2 საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმის ზოგადი მიმოხილვა

საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია. იგი წარმოადგენს გადასახადების სფეროში სახელმწიფოს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე. ეს კანონმდებლობა შედგება

„საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საგადასახადო კოდექსისა და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე აქტებისაგან”.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მიხედვით მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება საგადასახადო კანონმდებლობა. ამავე ნორმატიული აქტის 94-ე მუხლის მიხედვით სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით; გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი; გადასახადებისაგან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვარის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება და ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება.

საგადასახადო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, 2011 წლის 1 ივლისს მიღებული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ”, რომლის მიხედვითაც, „...თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება პასუხისმგებლობიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში”. აღნიშნულმა კანონმა დააკონკრეტა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი დებულებები საქართველოში გადასახადების შემოღების და ზედა ზღვრის

ცვლილებების თაობაზე, განსაზღვრა მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების დადგენაში, დაადგინა მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრები და კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება.

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საგადასახადო დაბეგვრის რაციონალური სისტემის უზრუნველყოფა. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის არსთან ახლოსაა სხვა ორგანიზაციული საფინანსო კატეგორია - საგადასახადო სისტემა.

საგადასახადო სისტემა საგადასახადო დაბეგვრის ფართო კატეგორიაა, ამიტომ საგადასახადო დაბეგვრის ყველა პრინციპი თანაბარწილად ეხება მასაც. ამასთან, საგადასახადო სისტემისთვის დამახასიათებელია მხოლოდ თავისი საკუთარი ძირეული მოთხოვნები (პრინციპები), რომლებიც საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებთან ერთად უნდა დაედოს საფუძვლად რაციონალური საგადასახადო სისტემის შექმნას. ამ სისტემების შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმები არსებობს, მათ შორის ჩემი აზრით, ყურადღებას აქცევს ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯ. სტიგლიცის მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები:

1. ეკონომიკური ეფექტიანობა - საგადასახადო სისტემა წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს რესურსების ეფექტიანად განაწილებასთან.
2. ადმინისტრაციული სიმარტივე - ადმინისტრაციული სისტემა უნდა იყოს მარტივი და გამოსაყენებლად შედარებით იაფი.
3. მოქნილობა - საგადასახადო სისტემას უნდა შეეძლოს (ზოგიერთ შემთხვევაში ავტომატურად) ცვალებად ეკონომიკურ პირობებში სწრაფი რეაგირება.
4. პოლიტიკური პასუხისმგებლობა - საგადასახადო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ დაარწმუნოს ადამიანები იმაში, რომ ისინი იხდიან იმისათვის, რათა პოლიტიკურ სისტემას შეეძლოს უფრო ზუსტად გამოხატოს მათი ინტერესები.
5. სამართლიანობა - საგადასახადო სისტემა უნდა იყოს სამართლიანი სხვადასხვა ინდივიდთან მიმართებაში.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, როცა ზოგიერთი მეცნიერის აზრით, საგადასახადო სისტემის შეფასებისათვის გამოყენებულია ეკონომიკური ნეიტრალურობის, ადმინისტრაციული სიმარტივის და ეკონომიკური მოქნილობის კრიტერიუმები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2011 წლის აპრილიდან სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შეემატა საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

ბ) საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

გ) საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების მომზადება;

დ) საგადასახადო კანონმდებლობის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ წინადადებათა მომზადება;

ე) მოსაკრებლის სფეროში ერთიანი კომპლექსური საკანონმდებლო აქტების პაკეტის შემუშავება და სრულყოფა;

ვ) ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების (კონვენციის) მომზადების კოორდინაცია;

ზ) საგადასახადო და საბაჟო სფეროებში გასაფორმებელ საერთაშორისო შეთანხმებათა პროექტების მომზადების, შეთანხმებების დადებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოქმედებათა კოორდინაცია;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

ჩემი აზრით, აღნიშნული დეპარტამენტის არსებობამ ხელი უნდა შეუწყოს საგადასახადო პოლიტიკის სისტემურ და ფუნქციონალურ განხორციელებას.

განვიხილოთ საქართველოს საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებისა და საგადასახადო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი.

უკანასკნელ წლებში, ქვეყნის ეკონომიკაში და მათ შორის საგადასახადო სფეროში მიმდინარე რეფორმების მიმდინარეობის შეფასებისას აუცილებელია არსებული საგადასახადო სისტემის ობიექტური შეფასება. 1985 წელს აშშ პრეზიდენტი, რ. რეიგანი, რომელმაც გადასცა საგადასახადო რეფორმის პაკეტი განსახილველად კონგრესს, თავის მიმართვაში წერდა: „ჩვენ ვდგავართ გამოწვევის წინ, რომლის წინაშეც დაგვაყენა ისტორიამ: ვაქციოთ ჩემი საგადასახადო სისტემა სამართლიანობის, სიმართლის, ეფექტურობისა და კეთილშობილების ნიშნად, გავათავისუფლოთ ბარიერებისაგან ეკონომიკური ზრდისკენ მიმავალი გზა და გავხსნათ უმაგალითო ინოვაციებისა და მიღწევების კარი... იმ დროს, როცა ამერიკელი მშრომელების უმრავლესობა ატარებს ძალიან მაღალი საგადასახადო განაკვეთების ტვირთს, ბევრი მათგანი თავს არიდებს გადასახადების გადახდას... ხოლო ზოგჯერ საერთოდ არ იხდიან მას“. ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი ათწლეულის გამოცდილებით, ამ მიმართვის შინაარსი და აქტუალობა ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის გასაგები იყო. სწორედ გადასახადების სტრუქტურისა და მათი განაკვეთების დონე განსაზღვრავს სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების სიდიდეს, ასევე გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაზე, ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის გადანყვეტილებებზე.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკამ, მიუხედავად სერიოზული საშინაო და საგარეო გამოწვევებისა, შეინარჩუნა ზრდის ტემპი. 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 11691,5 ლარი შეადგინა ერთ სულ მოსახლეზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს. საქართველო ეკონომიკური განვითარების ზრდის დონით 1998-2008 წლების მონაცემებით, შეყვანილია მსოფლიოს 50 ეკონომიკურად ყველაზე მზარდი ქვეყნების სიაში და საერთო საშუალო წლიური ზრდა დაფიქსირებულია 6,5%-ით, ასევე საქართველოს საშუალო ყოველწლიური ზრდა მომსახურების სფეროში შეადგენს 9,7%-ს.

მთლიანი შიდა პროდუქტი	2014	2015	2016	2017	2018
მშპ მიმდინარე ფასებში	29152	31756	34028	38042	40576
მშპ ერთ სულზე (ლარი)	6837,7	9002,1	10241,1	10446,7	11691,5
მშპ ერთ სულზე (დოლარი)	3676,20	3766,6	3864,6	4033,5	4362,50

ცხრილი 1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (2014-2018 წწ.)

უკანასკნელ წლებში საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნება ჩემი აზრით, გამოწვეულია ბიზნეს აქტივობის ზრდითა და საგადასახადო ბაზის გაფართოებით, როგორც ქვემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში ბიზნეს საქმიანობის სუბიექტების რაოდენობა იზრდება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს საგადასახადო ბაზის ზრდას.

საწარმოთა სამართლებრივი ფორმა	2014	2015	2016	2017	2018
სულ	43103	44277	45544	49775	53572
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2	5	7	15	31
კომანდიტური საზოგადოება	0	1	0	1	3
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	17553	18416	21259	25144	25445
სააქციო საზოგადოება	62	93	78	106	136
კოოპერატივი	579	954	550	251	179
ინდივიდუალური მენარმე	24907	24808	23650	24258	27778

ცხრილი 2. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმების მიხედვით, ერთეული

მთლიანობაში საგრძნობლად არის გაზრდილი ბიუჯეტის შემოსულობების აბსოლუტური მაჩვენებელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

ბიუჯეტის შემოსულობები	2014	2015	2016	2017	2018
ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები	10652	10756	11584	12912	13728
სახელმწიფო ბიუჯეტი	9157	9891	10374	11618	12441

ცხრილი 3. ბიუჯეტის შემოსულობები 2014-2018 წლებში
(ციფრები მოცემულია მილიონ ლარებში)

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბიუჯეტში შემოსავლების მატება 2014 წელთან შედარებით დაფიქსირებულია 1,3-ჯერ.

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ძირითადად არაპირდაპირი გადასახადების ხარჯზე იზრდება. უკანასკნელი წლების ანალიზით ირკვევა, რომ საგადასახადო შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების წილი გაზრდილია თითქმის 17%-ით. არაპირდაპირი გადასახადების მაღალი ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში ძირითადად განვითარებადი ან სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. იგი გამოირჩევა ფისკალური ეფექტით, ადმინისტრირებას არ საჭიროებს, მაგრამ ამასთან სოციალურად არასამართლიანია, რადგან ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას მოსახლეობის კეთილდღეობის ხარჯზე.

საგადასახადო კოდექსში 2005 წელს შეტანილმა ცვლილებებმა მთლიანად შეცვალა ქვეყნის საგადასახადო გარემო. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, მოქმედებაში შესულმა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში მეორე საგადასახადო კოდექსმა, 2004 წელს არსებული ოცდაერთი გადასახადიდან, მხოლოდ 6 დატოვა სამოქმედოდ. გადასახადების გადახდის მარტივმა წესმა და ამ მხრივ საქართველო მსოფლიოში 64-ე ადგილზეა, მნიშვნელოვნად გაზარდა მოქალაქეთა მოტივაცია ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით, რამაც საგადასახადო ბაზის გაზრდა გამოიწვია. თუ 2003 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით 1,19 მილიარდი ლარი (მთლიანი შიდა პროდუქტის 13,9%) შევიდა, 2010 წელს მან 6,9 მილიარდი ლარი

(მთლიანი შიდა პროდუქტის 23,5%) მიიღო. ეს შედეგები უპირველეს ყოვლისა, გატარებული რეფორმებითაა განპირობებული, რომლის პირდაპირი შედეგია 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ახალი საგადასახადო კოდექსი. როგორც საქართველოს ყოფილმა პრემიერ - მინისტრმა ნიკა გილაურმა აღნიშნა, „...საგადასახადო კოდექსში ჩვენ ერთხელ უკვე შევიტანეთ მასშტაბური ცვლილებები (იგულისხმება 2005 წლის რედაქციის საგადასახადო კოდექსი - ავტ.) შევეცადეთ კოდექსის ნორმათა ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მოგვესპო, მაგრამ სასურველ შედეგამდე ამ გზით ვერ მივედით“.

ახალმა საგადასახადო კოდექსმა გააერთიანა საგადასახადო და საბაჟო კოდექსები. განხორციელდა ორივე კოდექსის გადამუშავება, რომლის მიზანი იყო რთული, ორაზროვანი და დუბლირებული სამართლებრივი დებულებების გამორიცხვა, საკანონმდებლო ენის გამარტივება და ადვილად აღქმადი დებულებების ფორმულირება. ამ ორი კოდექსის გაერთიანება გახდა საფუძველი საგადასახადო და საბაჟო სფეროში არსებული 100-ზე მეტი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სიღრმისეულად გადახედვის, ახლებურად გააზრებისა და გადამუშავებისა. შესაბამისად, ჩამოყალიბდა კონსოლიდირებული და კოდიფიცირებული კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა:

✓ ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში გაერთიანდა გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული 44 სამართლებრივი აქტი;

✓ ფინანსთა მინისტრის №994 ბრძანებაში გაერთიანდა გადასახადების აკრეფის, უზრუნველყოფის, კონტროლის ღონისძიებათა და სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული 21 სამართლებრივი აქტი;

✓ ფინანსთა მინისტრის №993 ბრძანებაში გაერთიანდა საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების, საზღვრის გადაკვეთისა და გაფორმების პროცედურების მარეგულირებელი 31 სამართლებრივი აქტი.

ახალმა საგადასახადო კოდექსმა მკაფიოდ განსაზღვრა მიკრო და მცირე ბიზნესის, ასევე ფიქსირებული გადასახადის დეფინიციები და დაადგინა შეღავათიანი და მარტივად ადმინისტრირებადი გადასახადის განაკვეთები მცირე ბიზნესისათვის

(ბრუნვის 1% 3% ან 5%-ით დაბეგვრა). მიკრო ბიზნესი გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელი უფლებამოსილია აწარმოოს გამარტივებული ბუღალტერია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა წახალისების მიზნით ახალი საგადასახადო კოდექსით 100 000-დან 200 000 ლარამდე გაიზარდა საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავლების ზღვარი, რომლის პირობებშიც გადამხდელი გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან (ფიზიკური პირების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადისაგან).

დაინერგა „კეთილსინდისიერების პრინციპი“, რომელიც ითვალისწინებს სანქციისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, როცა გადამხდელის ქმედება გამონწვეულია შეცდომით/არცოდნით და მიზნად არ ისახავს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას. პატიოსანი გადამხდელის წახალისება მოტივაციას უქმნის კანონმორჩილ გადამხდელებს და სთავაზობს სხვადასხვა დამატებითი მომსახურებითა და შეღავათებით სარგებლობას.

შემოსავლების სამსახურმა პირადი საგადასახადო აგენტის სახით, მომსახურების ახალი ტიპი დაინერგა. აგენტი გადასახადის გადამხდელს ეხმარება კანონმდებლობაში შეტანილი სიახლეების გაცნობაში, უადვილებს საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობას, აძლევს რჩევებს, უზოგავს დროსა და ენერჯიას, თითოეული აგენტი პასუხისმგებელია საკუთარ რეკომენდაციაზე და მენარმეები დაზღვეული არიან შეცდომებისაგან. პირადი საგადასახადო აგენტი არის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც იცავს გადასახადის გადამხდელის ინტერესებს და ცდილობს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მას. გადამხდელსა და პირად საგადასახადო აგენტს შორის ურთიერთობა, პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურებით სარგებლობის პირობები და მომსახურების ფარგლები განისაზღვრება გადამხდელსა და შემოსავლების სამსახურს შორის დადებული ხელშეკრულებით. აღნიშნული მომსახურება ამოქმედდა 2010 წლის ოქტომბრიდან და გათვალისწინებული იყო მხოლოდ მსხვილი გადამხდელებისათვის.

2010 წლის ბოლოსათვის გაფორმდა 78 ხელშეკრულება. 2011 წლიდან პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურებით სარგებლობა ნებისმიერ გადამხდელს შეუძლია.

ჯარიმის სანაცვლოდ გაფრთხილების შემოღება, კიდევ ერთხელ უკეთებს აქცენტირებას მთავრობის ახალ კურსსა და ახლებურ მიდგომას კერძო სექტორისადმი, სახელმწიფო ცდილობს ყველა მენარმეში დაინახოს საგადასახადო კანონმდებლობის დამცველი და პატიოსანი მენარმე, რომელიც განზრახ კი არ არღვევს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს, არამედ არცოდნის ან არასათანადო ინფორმირებულობის გამო ხდება სამართალდამრღვევი. ასეთ ვითარებაში კი სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური ნაბიჯი სწორედ მენარმის ინფორმირება და გაფრთხილებაა, ნაცვლად ფულადი ჯარიმისა, რაც ზრდის ურთიერთნდობასა და ურთიერთპატივისცემას.

გადასახადის გადამხდელს მიენიჭა უფლება, მისთვის მოსახერხებელ პერიოდში შემოსავლის სამსახურისაგან მოითხოვოს საგადასახადო შემოწმების ჩატარება.

ტერმინოლოგიურ სიუხვეს - მიკრო და მცირე ბიზნესი რამდენიმე ტიპის ახალი ფიქსირებული გადასახადიც დაემატა, რომლებიც ძირითადად უკვე არსებულის ალტერნატიული ვარიანტია. გაუგებარია, რატომ უნდა შეეხოს შეღავათები მხოლოდ ბიზნესის ცალკეულ სეგმენტებს და რატომ არ შეიძლება შეღავათებიანი გარემო ბიზნესის ყველა სეგმენტზე გავრცელდეს. ასევე გაუგებარია ხელისუფლების ინიციატივა - საშემოსავლო გადასახადისაგან ასაკობრივი ნიშნის მიხედვით გაათავისუფლოს ახლად დასაქმებულები. უმჯობესი იქნებოდა ხელისუფლებას უკვე დიდი ხნის წინანდელი დაპირება შეესრულებინა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეემცირებინა. ასე ადმინისტრირებაც გამარტივდებოდა და მთლიანი გარემოც გაჯანსაღდებოდა. ამასთან, საქართველო კიდევ უფრო წინ წაიწვედა იმ რეიტინგებში, რომლებიც ქვეყნის მიერ გატარებულ ლიბერალურ მიდგომებს ზომავს. ეს რეიტინგები ინვესტორებისთვის სერიოზული სახელმძღვანელოა. შესაბამისად, ქვეყანაში მეტი ინვესტიცია შემოვიდოდა, რაც შემოსავლებზე დადებითად აისახებოდა.

§ 1.3 საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების შედეგები

საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემა ძირითადად 1991-1992 წლების მიჯნაზე, ქვეყანაში მიმდინარე კარდინალური ეკონომიკური გარდაქმნებისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში ჩამოყალიბდა. რეალური საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების გამოცდილების უქონლობა, კანონმდებლობის შესამუშავებლად დაშვებული შემჭიდროებული ვადები, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი ქვეყანაში, – ყველაფერმა ამან უშუალოდ იმოქმედა მის ჩამოყალიბებაზე. საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ბაზაზე იქმნებოდა. სწორედ ამის გამო იგი საერთო სტრუქტურითა და აგებულების პრინციპებით ძირითადად შეესაბამება მსოფლიო ეკონომიკაში გავრცელებული გადასახადებით დაბეგვრის სისტემებს. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემის ძირითადი ელემენტები ყალიბდებოდა ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსმა, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 13 ივნისს, განსაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექანიზმი, გადასახადის სახეები, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო-სამართლებრივი პრინციპები, საგადასახადო ტერმინოლოგია და ა.შ.

საქართველოს საგადასახადო მოდელის საფუძველს შეადგენს ორი სახის გადასახადები, რომელთა ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში ყველაზე მნიშვნელოვანია. პირველი სახის გადასახადები დაკავშირებულია

შემოსავალთან (მოგებასთან), რომელსაც იღებენ იურიდიული და ფიზიკური პირები შრომითი და სამეწარმეო საქმიანობის პროცესში, ხოლო მეორე სახის გადასახადები დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან, ე.ი. ბრუნვასთან. მიუხედავად გადასახადების სიმრავლისა, საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის ყველა საგადასახადო შემოსავლის უდიდეს ნაწილს შეადგენს მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი და დღგ.

გადასახადების დაწესება ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებზე და მათ სტიმულებზე - აწარმოონ და მოიხმარონ.

ადრეული პერიოდისა და თანამედროვე საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ გადასახადების ევოლუცია, მისი განვითარების კანონზომიერება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, შევისწავლოთ მათი გამოცდილება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების გათვალისწინებით ქვეყანაში შემუშავდეს სამართლიანი და მისაღები საგადასახადო სისტემა მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა და შემცირდა გადასახადების განაკვეთები, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა მომავალშიც აუცილებელია.

ამასთან, საჭიროა საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ, როგორც საზოგადოების, ასევე პოტენციური ინვესტორების სისტემატური ინფორმირება, რაც ქვეყანაში ინვესტიციების შემოღინებას და ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს. ქვეყნის საგადასახადო კოდექსი და საგადასახადო პოლიტიკა უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკური მიზანშეწონილობით საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობებისაგან.

2003 წლის ბოლოსათვის საქართველოში საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა მინიმუმამდე იყო დასული, რაც გამომწვეული იყო :

1. საგადასახადო კანონმდებლობის სირთულით. საგადასახადო სისტემა რეგულირდებოდა სამი სხვადასხვა კანონით, (საქართველოს საგადასახადო კოდექსი,

საქართველოს კანონი "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" და საქართველოს კანონი "საგზაო ფონდის შესახებ"), რომლებიც ცალკეული გადასახადის გაანგარიშებისა და დეკლარირების წესებს არეგულირებდა განსხვავებულად. დაწესებული იყო 22 გადასახადი და, ამასთან, თითქმის ყველა გადასახადი იყო დიფერენცირებული. ეს ქმნიდა საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის პრობლემებს. გადამხდელი იძულებული იყო, გარიგებოდა საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებს მომავალში პრობლემების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, არაკეთილსინდისიერ გადამხდელებს ჰქონდათ გადასახადისაგან თავის არიდებისათვის კარგი გარემო. მაგ, საბაჟო გადასახადის განაკვეთების რაოდენობა შეადგენდა 22-ს, იმ პირობებში, როცა იდენტური საქონელი იბეგრებოდა განსხვავებული განაკვეთით. აღნიშნულ პრობლემას ამწვავებდა საგადასახადო ორგანოების კორუმპირებულობა.

დაწესებული გადასახადების დაბეგვრის ობიექტები ხშირ შემთხვევაში იყო დუბლირებული. მაგალითად, სამეწარმეო საქმიანობის და საერთო სარგებლობის გზებით სარგებლობის გადასახადების დაბეგვრის ობიექტები და დამატებული ღირებულების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი იყო იდენტური. ამ გადასახადების შემოღების მიზანს წარმოადგენდა, შესაბამისად, ადგილობრივი ორგანოებისა და საგზაო ფონდის დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროთი უზრუნველყოფა.

2. არაადეკვატური ადმინისტრირების ინსტრუმენტებით. მიუხედავად გადასახადების რაოდენობის სიმრავლისა (22 გადასახადი) და, შესაბამისად, ფართო საგადასახადო ბაზისა, საგადასახადო შემოსავლები შეადგენდა მშპ-ს მხოლოდ 14%-ს. სხვადასხვა შეფასებით საგადასახადო ბაზა მშპ-ის 35% იყო, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრირების დონე შეადგენდა მხოლოდ 40%-ს.

საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებასთან ერთად საგადასახადო სისტემის "აქილევსის ქუსლს" წარმოადგენდა ადმინისტრირება.

2003 წლის ბოლოსათვის საგადასახადო ორგანოების სტრუქტურა წარმოადგენდა საკმაოდ რთულ და არაეფექტიან სისტემას, სადაც პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებები იყო დუბლირებული და გაფანტული სხვადასხვა უწყებაში.

არსებობდა გადასახადების ადმინისტრირების რამდენიმე ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იყო გადასახადების ადმინისტრირებაზე: საგადასახადო დეპარტამენტი, საბაუო დეპარტამენტი და საგზაო დეპარტამენტი. მათ შორის კოორდინაცია პრაქტიკულად არ არსებობდა;

ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია გადანაწილებული და დაუბლირებული იყო სამ უწყებაში: შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და ფინანსთა სამინისტროებში. ეს კი ნიშნავდა პასუხისმგებლის ფაქტობრივად არ არსებობას, ხოლო გადამხდელისათვის დამატებით ტვირთს.

3. საგადასახადო ორგანოებში კორუფციით. გადასახადების აკრეფის მანკიერი მეთოდების გამოყენების ფონზე დანერგილი იყო კორუფციული გარიგებების ინსტრუმენტები. კერძოდ, ფართოდ იყო გავრცელებული "უსაქონლო ოპერაციებით" ე.წ. "აქტივების" შექმნა. მაგალითად, რეგისტრაციაში ტარდებოდა ფირმა (რომელიც, ხშირ შემთხვევაში, "დაარსებული იყო" გარადაცვლილის მიერ). "ფიქტიური" ფირმა ნებაყოფლობით რეგისტრირდებოდა დღგ-ის გადამხდელად, ყიდულობდა რაიმე საქონელს და ყიდდა მას მაღალი ფასით წინასწარ შერჩეულ ფირმაზე, რომელსაც ეს საქონელი ექსპორტზე გაჰქონდა. ხშირ შემთხვევაში არ არსებობდა არც საქონელი და, ბუნებრივია, არ ხდებოდა ანგარიშსწორება. ამ ოპერაციის შედეგად დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოექმნებოდა "ფიქტიურ" ფირმას, ხოლო ექსპორტიორ ფირმას დღგ-ს სახით უჩნდებოდა ზედმეტობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ ზედმეტობის განივთება ხდებოდა აქციზური მარკების სახით. კერძოდ, საგადასახადო ორგანო გასცემდა ცნობას გადასახადების ზედმეტობის შესახებ, ხოლო აქციზური მარკების სამსახური ამის საფუძველზე გასცემდა აქციზურ მარკებს.

ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით 2004 წლის დასაწყისში საგადასახადო სისტემის რეფორმის ამოცანებს წარმოადგენდა:

1. საკანონმდებლო ბაზის ცვლილება და სრულყოფა;
2. ადეკვატური ინსტიტუციური მოწყობა;
3. ადამიანური რესურსების მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება;
4. ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;

2004 წლის დასაწყისიდან, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას სწორი და რეალური შეფასება მიეცა. ხელისუფლებამ სრულიად განსხვავებული კურსის განხორციელება დაიწყო, რომლის შესაბამისადაც მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმები განხორციელდა. 2004 წლის ბოლოს მიღებული საქართველოს საგადასახადო კოდექსით საგადასახადო სისტემის სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც თავის მხრივ, როგორც გადასახადების რაოდენობრივ, ისე საგადასახადო განაკვეთების მნიშვნელოვნად შემცირებაში გამოიხატა.

1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული 12 საერთო-სახელმწიფოებრივი (საშემოსავლო; დღგ-ი, აქციზი, ქონების, მიწის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა, ქონების გადაცემისთვის, სოციალური, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთვის) და 7 ადგილობრივი გადასახადის, (სამეწარმეო საქმიანობისათვის, სათამაშო ბიზნესის, საკურორტო, სასტუმროს, რეკლამის, მანქანების პარკირების, ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.) ნაცვლად, 2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით შემცირდა 7 საერთო-სახელმწიფო (საშემოსავლო დღგ-ი, აქციზი, სოციალური, საბაჟო.) და 2 ადგილობრივი გადასახადი (ქონების გადასახადი, სათამაშო ბიზნესის).

2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების გადამხდელთა საგადასახადო ტვირთი გადასახადების საგადასახადო განაკვეთების შემცირების ხარჯზე, კერძოდ კი, 2005 წლის 1 ივლისიდან დღგ-ის საგადასახადო განაკვეთი- 20%-დან 18%-მდე, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი- 20%-დან 12%-მდე, ხოლო სოციალური გადასახადები ჯამში - 33%-იდან 20%-მდე შემცირდა, მოგვიანებით სსკ-ში(2004წ) შეტანილი ცვლილებებით მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-იდან 15%-მდე, ხოლო ორი გადასახადის – საშემოსავლო(12%) და სოციალური(20%) გადასახადების გაერთიანების ხარჯზე შემოღებული იქნა ერთი – საშემოსავლო გადასახადი ჯერ 25%-იანი, ხოლო შემდეგ 20%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რაც დღემდე რჩება. საქართველოს ბიუჯეტის

შემოსავლების ფორმირებაში მნიშვნელოვანი ადგილი საშემოსავლო და მოგების გადასახადებს უჭირავს საქართველოს საგადასახადო კოდექსში ეს გადასახადები გაერთიანებულია ერთ კარში.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირების შემოსავლების დაბეგვრას მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრის სისტემაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეთმობა. იგი პირდაპირი გადასახადია და ცენტრალური გადასახადების რიცხვს მიეკუთვნება. ამ გადასახადით 2004 წლამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსი პროგრესული სისტემას ითვალისწინებდა, კერძოდ დაწესებული იყო საშემოსავლო გადასახადის 4 განაკვეთი წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით შემოსავლის სიდიდებზე დამოკიდებულებით – შესაბამისად 200 ლარამდე შემოსავალზე 12%-ის, 201–დან 359 ლარამდე შემოსავალზე 15%-ის, 351–დან 600 ლარამდე შემოსავალზე 17%-ის, ხოლო 601 ლარს ზევით შემოსავლებზე 20%-ის ოდენობით, 2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსით საშემოსავლო გადასახადით ფიზიკურ პირთა შემოსავლების აღნიშნული პროგრესული სისტემა შეიცვალა პროპორციული სისტემით და ერთი 12%-იანი განაკვეთი დაკანონდა.

„ხელისუფლების მტკიცებით, ეს ცვლილება გადამხდელისათვის ორი დადებითი ეფექტი მოიტანა: ჯერ ერთი, გადასახადის შემცირების შესაბამისად გადამხდელის განკარგულებაში დარჩენილი ფულადი სახსრები გაიზარდა და მეორეც, აღნიშნული გადასახადის გაანგარიშების მექანიზმი მნიშვნელოვნად გამარტივდა, თუმცა აქვე მინდა იმ ოპონენტთა აზრი გავიზიარო, რომლებიც სამართლიანად ამტკიცებენ, რომ ამ ცვლილებით საგადასახადო ტვირთის სიმძიმე ყველაზე მინიმალური ხელფასებისა და შემოსავლების მქონე პირებისათვის უცვლელი დარჩა, დანარჩენებს კი 3 ან 5%-ით, ხოლო ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე პირებს 7%-ით შეუმცირდათ.

ამასთან, ნიშამდობლივია ისიც, რომ ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით მიღებული ხელფასიდან საგადასახადო წლის განმავლობაში ყოველთვიურად დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლება გაუქმდა. საგადასახადო სისტემის სრულყოფის საქმეში ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებებიდან

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს აგრეთვე 2007 წლის ივლისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს, რომლითაც მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პრობლემები გადაწყდა.

აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობა ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნებისათვის საჭირო იყო ინვესტიციებისა და ექსპორტის წახალისება, კერძოდ, ადგილობრივი წარმოების საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდა საწარმოო დანახარჯების შემცირებით და რეინვესტირების ხელშეწყობით. ამისათვის, მნიშვნელოვან ეტაპად პირდაპირი გადასახადების განაკვეთების შემცირება ჩაითვალა. ამასთან, არსებული საშემოსავლო და სოციალური გადასახადები, თავისი ბუნებით, ანუ დაბეგვრის ობიექტის თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის იდენტური და გადასახადის გადამხდელთათვის რთული იყო ის ასევე, ბიზნესთვალსაზრისით მათ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა. მაგალითად, მენარმე ფიზიკური პირისათვის იგი შეადგენდა – 29,6%-ს, ხელფასისის სახით მიღებული შემოსავლებისათვის კი – 26,7%-ს.

საგადასახადო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კანონმდებლობა, რომლითაც წესდება გადასახადები და მათი ადმინისტრირების წესები.

1. 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც გულისხმობდა შემდეგ ცვლილებებს:

საშემოსავლო გადასახადი - 2005 წლის 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი იყო პროგრესული და დიფერენცირებული.

2005 წლის 1 იანვრიდან დაწესებული იქნა უნიფიცირებული 12%-იანი განაკვეთი, რაც, ერთის მხრივ, არსებულ ეფექტურ განაკვეთზე (16%) ნაკლები იყო და, მეორე მხრივ, ამარტივებდა გაანგარიშების, დეკლარირებისა და ადმინისტრირების პროცედურებს.

მოგების გადასახადი - 2005 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის სტრუქტურაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

დაიხვეწა ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების ჯგუფები და დაზუსტდა ამორტიზაციის ნორმები.

მოწესრიგდა აღრიცხვის წესები და შესაბამისობაში მოვიდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ბასს). მაგალითად, არსებული წესებით უიმედო და საეჭვო ვალების განმარტებები იყო არეული. საგადასახადო კოდექსის მიხედვით გამოიქვეითებოდა საეჭვო ვალები, რომლის განმარტება ფაქტიურად შეესაბამებოდა ბასს-ის მიხედვით გათვალისწინებულ უიმედო ვალების დეფინიციას, რაც აღრიცხვისას ქმნიდა მნიშვნელოვან გაუგებრობებს.

დამატებული ღირებულების გადასახადი - ახალი საგადასახადო კოდექსით შემცირდა გადასახადის განაკვეთი 20%-დან 18%-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ იდეალურ შემთხვევაში დამატებული ღირებულების გადასახადის დაკისრება უნდა განხორციელდეს ყველა გადამხდელზე, დღგ-ის გადამხდელთა დიდი რაოდენობა ართულებს ადმინისტრირების პროცესს და იძლევა გადასახადებისაგან თავის არიდების მეტ შესაძლებლობას, ამდენად პრაქტიკაში მიღებულია მცირე ბრუნვის მქონე სანარმოების გათავისუფლება დღგ-ის გადახდისაგან, შესაბამისად, ანგარიშგებისა და დეკლარირებისაგან და ადმინისტრაციას ეძლევა საშუალება მეტი კონცენტრაცია მოახდინოს მსხვილ გადამხდელზე. აქედან გამომდინარე შენარჩუნდა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის 100 000 ლარიანი ზღვარი, რომელიც შერჩეულ იქნა დღგ-ის გადამხდელთა რაოდენობისა და მათ მიერ გადახდილი გადასახადის მოცულობის ანალიზის საფუძველზე, რაც დღემდე შენარჩუნებული და საჭიროა ზღვარის გაზრდა.

აქციზის დანესების მიზანს, ძირითადად, წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის მიღება და/ან ცალკეული საქონლის მოხმარების შემცირება. აქციზურ საქონლად განისაზღვრა ალკოჰოლური სასმელები (იმპორტი ან მიწოდება), ნავთობპროდუქტები (იმპორტი ან მიწოდება), თამბაქოს ნაწარმი (იმპორტი ან მიწოდება) და მსუბუქ ავტომობილები (იმპორტი) და ჯართი (ექსპორტი). ფუფუნების

საგნებზე მისი დაბალი ფისკალური ეფექტისა და რთულად ადმინისტრირების გამო აქციზის გადასახადი აღარ დაწესდა.

სოციალური გადასახადი. 2005 წლის 1-ლი იანვრიდან დამქირავებლის (მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის) მიერ გადასახდელი სოციალური გადასახადის განაკვეთის 31 პროცენტი შემცირდა 20 პროცენტამდე, ხოლო ფიზიკური პირების (დაქირავებულის) შემოსავლებიდან გადასახდელი სოციალური გადასახადის 2% გაუქმდა.

საბაჟო გადასახადი. 2005 წლის 1-ლი იანვრიდან საბაჟო გადასახადის 22 განაკვეთი შემცირდა 16-მდე, ხოლო საშუალო შეწონილი განაკვეთის ოდენობა შემცირდა 2 პროცენტით (11 პროცენტიდან 9 პროცენტამდე);

ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ერთ გადასახადად ქონების გადასახადის სახით.

განხორციელდა გადასახადების მარეგულირებელი ზოგადი დებულებების სისტემატიზაცია და დახვეწა. მათ შორის მნიშვნელოვანია შემდეგი ცვლილებები:

საურავის ოდენობა 0,15%-დან შემცირდა 0,07%-მდე.

შემცირდა და ჰარმონიზებულ იქნა გადასახადების დეკლარირებისა და გადახდების ვადები;

გაფართოვდა გადამხდელთა უფლებები და ჩამოყალიბდა გასაჩივრების დამატებითი სამ საფეხურიანი სისტემა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში.

2. 2006 წლის 1 სექტემბრიდან საბაჟო გადასახადის განაკვეთების რაოდენობა შემცირდა სამამდე (0%, 5%, 12%) და განხორციელდა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, კერძოდ საბაჟო გადასახადის ნულოვანი განაკვეთი დაწესდა ყველა საქონელზე, გარდა სამშენებლო მასალებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა, შესაბამისად დასაბეგრი ბაზა შემცირდა 90 პროცენტით, რაც გულისხმობს სასაქონლო ნომენკლატურით გათვალისწინებული საქონლის 90 პროცენტზე საბაჟო გადასახადის გაუქმებას;

3. 2007 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სათამაშო ბიზნესის გადასახადი და ჩამოყალიბდა მოსაკრებლის სახით.

საბაჟო გადასახადი, კი აისახა საგადასახადო კოდექსში, რითაც დასრულდა ყველა გადასახადის ერთ საკანონმდებლო აქტში ასახვის პროცესი. ეს მნიშვნელოვანი იყო ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ მოხდა ყველა გადასახადის ადმინისტრირების წესების უნიფიცირება.

2007 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი საბაჟო კოდექსი.

საბაჟო კოდექსის სტრუქტურა ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, დამატებულია გასაჩივრებისა და საბაჟო სამართალდარღვევის (პასუხისმგებლობის) საკითხები.

მოხდა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია:

4. 2008 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი ცვლილებები:

2008 წლის 1-ლი იანვრიდან მოგების გადასახადი შემცირდა 15%-მდე, რაც ინვესტირებისათვის დამატებითი ფინანსური რესურსის ეკონომიკაში დატოვებას ნიშნავს.

2008 წლის 1-ლი იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა 25%-ით ნაცვლად 12-სა. ამით მოხდა ხელფასზე დარიცხული გადასახადების დასაბეგრი ბაზის, გაანგარიშებისა და დეკლარირების წესების უნიფიცირება, ხოლო საგადასახადო ტვირთი შემცირდა 1,2%-ით.

სწორედ, აღნიშნულიდან გამომდინარე, საშემოსავლო გადასახადის 25%-იანი განაკვეთი (2008 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო (12%) და სოციალური გადასახადების (20%) გაერთიანების), 2009 წლის 1 იანვრიდან 20%-მდე შემცირდა, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბიუჯეტის შემოსავლები 40–50%-ს შეადგენს საშემოსავლო გადასახადები, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 15–18%-ია, რაც მოსახლეობის ხელფასებისა და საერთო შემოსავლების დაბალი დონითაა გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოგების გადასახადს. მოგებაზე გადასახადი პირდაპირი გადასახადია, რომელიც

რეზიდენტობის პრინციპზეა დაფუძნებული. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის პირობებში, საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გამუდმებით მიმდინარეობდა მუშაობა მისი ოპტიმიზაციისათვის, კერძოდ, აღნიშნული გადასახადით დაბეგვრის ობიექტის სწორად განსაზღვრის, საგადასახადო განაკვეთის შემცირებისა და საგადასახადო შეღავათების მოქნილად და რაციონალურად გამოყენებით წარმოების, ეფექტურობის განუხრელი ზრდის მისაღწევად. არსებითად დადებითი ხასიათის ცვლილებები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების კუთხით განხორციელდა.

კერძოდ, ახალი – 2010 წლის საგადასახადო კოდექსით მიკრო და მცირე მენარმეობის ცნებები შემოიღეს. მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის წლიური ბრუნვა 30 000 ლარს არ აღემატება და იგი ეკონომიკურ საქმიანობაში დაქირავებულ ფიზიკურ პირთა შრომას არ იყენებს, მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება და მას ფაქტობრივად არანაირი გადასახადების გადახდა არ მოუწევს, ხოლო იმ მენარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა წლიური ბრუნვა 100 000 ლარამდეა, მათ, სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა მიენიჭოთ მცირე ბიზნესის სტატუსი, რომლის მიღების შემთხვევაში აღნიშნული სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი ბრუნვიდან 3%-ს გადაიხდის თუ, მის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების 60%-ზე მას ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები გააჩნია (გარდა დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული ხელფასისა), ხოლო სხვა შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირს ბრუნვიდან 5%-ის გადახდა მოუწევს. ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირება საკანონმდებლო ბაზის შექმნას მოითხოვდა, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საბაზრო ეკონომიკის შესაფერისი საგადასახადო სისტემის შექმნას.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ღონისძიებათა სისტემაში საგადასახადო სისტემის პარამეტრები სწორად არ იყო განსაზღვრული. საგადასახადო სისტემას არ გააჩნდა საკანონმდებლო ბაზა, საგადასახადო სისტემაში ანხორციელებული შემდგომი რეფორმები არასრულყოფილი იყო.

ამ თავის დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი: 1993 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო სისტემის სრულყოფის კანონების პაკეტი (სულ რვა კანონი) მიიღო, რომლის ძირითადი მიზანი და დანიშნულება სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი რესურსების მაქსიმალური მობილიზება იყო. 1993 წელს მიღებულ კანონთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი იყო, საქართველოს რესპუბლიკის კანონი, „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ,“ რომელშიც მოცემული იყო საგადასახადო სისტემის მოწყობის ძირითადი პრინციპები გადასახადების, გადასახდელების, მოსაკრებლების, სახელმწიფო ბაჟის, ადგილობრივი გადასახადების ფორმირების მეთოდოლოგიური საფუძვლები.

მიმაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემები გარკვეულწილად იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა მეცნიერულ მიღწევებს ნაკლებად ეხმარება, უფრო მეტიც, დღესდღეობით გაურკვეველი რჩება გადასახადების ურთიერთდამოკიდებულების არსებული სისტემა. ქვეყანაში საგადასახადო გარდაქმნების კუთხით საქართველოში 2003 წლის ნოემბრის შემდგომ მოსულმა ხელისუფლებამ გარკვეულწილად წარმატებული რეფორმები გაატარა, რამაც პრაქტიკული გამოხატულება საქართველოს საგადასახადო სისტემის როგორც სტრუქტურულ და შინაარსობრივი ხასიათში ჰპოვა, თუმცა მას ჯერჯერობით კვლავაც ვერ მოაქვს ის სასურველი შედეგები, რაც სადღეისოდ ქვეყნის განვითარება და ეკონომიკური წინსვლა მოითხოვს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია საგადასახადო რეფორმების კომპლექსურად გატარება და თუ, ქვეყანაში არ შეიქმნა ბიზნესის ლიბერალიზაციის ხელსაყრელი პირობები, ვერ მივაღწევთ ეკონომიკური ზრდის ოპტიმალურ ტემპებს. ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის გაზრდაზე შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს საგადასახადო სისტემის ყველა დონეზე რეფორმების პერმანენტულად დაჩქარებული წესით შესრულებას. საგადასახადო სისტემის სრულყოფა სწორად ჩამოყალიბებული საგადასახადო

პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია, რომლის მიზანია: ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და ფინანსური უსაფრთხოების დაცვა; ბიზნესის სტიმულირება, მთლიანი, შიდა პროდუქტის ზრდა და ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის განვითარება; გადასახადების სტაბილურობა; გადასახადების დადგენისა და ამოღების წესის გამარტივება, სამართლიანობის პრინციპის დაცვა; დაუსაბუთებელი საგადასახადო შეღავათების გაუქმება, ქვეყნის ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრება.

აღსანიშნავია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და ეკონომიკური სისტემის მართვის გარდაქმნის პროცესში საგადასახადო რეფორმების განხორციელებისას საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის გატარებული გარკვეული ღონისძიებების მიუხედავად, ხელისუფლების მიერ რეგულაციურად მონათლულმა საქართველოში დღეს მოქმედმა საგადასახადო კოდექსმა, ამოქმედების დღიდან მასში უამრავი ცვლილებებისა და დამატებების მიუხედავად, ვერ აღმოფხვრა მოქმედი საგადასახადო სისტემის არასრულფასოვნება, ვერ უზრუნველყო საგადასახადო მიზნების სრულყოფილი რეალიზაცია.

თავი II: მოგების გადასახადის ესტონური მოდელი

§ 2.1 მოგების გადასახადი

საგადასახადო კოდექსის მიხედვით არსებობს 6 სახის გადასახადი. აქედან 5 წარმოადგენს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს, ხოლო 1 ადგილობრივ გადასახადს.

საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადს მიეკუთვნება:

- 1) საშემოსავლო გადასახადი;
- 2) მოგების გადასახადი;
- 3) დამატებული ღირებულების გადასახადი;
- 4) აქციზი;
- 5) იმპორტი.

ხოლო ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება: ქონების გადასახადი.

მოგების გადასახადის გადამხდელია საქართველოს სანარმო; უცხოური სანარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დანესებულების მეშვეობით/ შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

სანარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის.

მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია.

მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენა ხდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის¹ აპრილამდე.

§ 2.2 მოგების გადასახადის ესტონური მოდელი და მისი გავლენა სამეწარმეო საქმიანობაზე

საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალიან მარტივია, რასაც მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში, საქართველოს მონივნავე პოზიციები მოწმობს ბოლო ათწლეულში, თუმცა ეკონომიკური ზრდა საქართველოში არც ისეთი სწრაფია, როგორც მარტივიც ბიზნესის რეგისტრაცია და დაწყება.

2015 წელს მთავრობის წარმომადგენლებმა დაანონსეს მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში-მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება. საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით 2017 წლის იანვრიდან ესტონური მოდელი ძალაში შევიდა.

ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა-განვითარების ყველაზე სანდო და პოპულარულ ინდიკატორად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი განიხილება და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაც რომ მშპ-ს ზრდის ტემპის დასაჩქარებლად საგადასახადო რეფორმა განეხორციელებინა იყო დროული თუ დაგვიანებული არა.

საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებას, თან სდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის, მოახდენს თუ არა ესტონური მოდელი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის წახალისებას და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდგომ.

ამ კითხვაზე საპასუხოდ, პირველ რიგში განვმარტოთ თუ რა შეიცვალა საგადასახადო კოდექსში.

თეორიულად რომ განვიხილოთ, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ზომავს თუ რამდენად იზრდება მშპ მოცემულ ქვეყანაში, თავის მხრივ მშპ ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებაა, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ მონაკვეთში. მთლიან შიდა პროდუქტში გამოყოფენ 4

შემადგენელ ნაწილს: 1) მოხმარება; 2) ინვესტიციები; 3) სახელმწიფო შესყიდვები; 4) წმინდა ექსპორტი.

საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მენარმეები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს თუ კომპანიის შემოსავლების ინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში, არ დახარჯავენ ფულს სამენარმეო საქმიანობის მიღმა და არ განევენ სამენარმეო საქმიანობისთვის დადგენილ წარმომადგენლობით ხარჯებს, არ შეიძენენ უსაბუთოთ საქონელს ან მომსახურებას, ნაკლები საბაზრო ურთიერთობები ექნებათ ოფშორულ და მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებთან და სხვა.

რეფორმამდელი მოგების გადასახადის მოდელი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს: შემოსავლებს-ხარჯები=დასაბეგრი მოგება*15%= გადასახდელ მოგების გადასახადს.

რეფორმა არ ეხება ფიზიკურ პირებს, მათ შორის ინდ. მენარმეებს, ორგანიზაციებს (სსიპ, ააიპ) და საფინანსო კომპანიებს ისეთებს, როგორცაა: კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვეო კომპანიები, ლომბარდები. საფინანსო სექტორი 2020 წლიდან გადავა აღნიშნული დაბეგვრის რეჟიმზე.

ახალ მოდელზე გადავიდა ყველა იურიდიული პირი, გარდა საფინანსო ბიზნესისა, მათ შორის არარეზიდენტი კომპანიების მუდმივი დანესებულებები.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, განაწილებული მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

მოგების გადასახადით დაბეგვრის 4 ძირითადი მიმართულებაა:

1) განაწილებული მოგება

განაწილებული მოგება თავის მხრივ იყოფა შემდეგ ძირითად ნაწილებად:

ა) დივიდენდის განაწილება ფულადი ან არაფულადი ფორმით;

ბ) ურთიერთდამოკიდებული პირისგან საქონლის ან მომსახურების შექენა საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით;

გ) შეღავათიანი დაბეგვის მქონე ქვეყანაში (ოფშერები) რეგისტრირებული პირთან საქონლის შექმნა ან რეალიზაცია საბაზრო ფასიგან განსხვავებული ფასით;

დ) საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/ მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისგან.

2) განუული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. ეს ხარჯებია:

ა) დოკუმენტურად დაუდასტურებული ხარჯი;

ბ) ხარჯი, რომლის განვების მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;

გ) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე კომპანიიდან შექმნილი საქონელი/მომსახურება;

დ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისაგან საქონელზე/მომსახურებაზე განუული ხარჯი;

ე) ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის (24%) ფარგლების ზემოთ სესხისთვის გადახდილი პროცენტი;

ვ) სპეციალური სავაჭრო კომპანიისგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით განუული ხარჯი;

ზ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში (ოფშორი) რეგისტრირებული პირის და მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა, ავანსის გადახდა, სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

თ) გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე, არარეზიდენტებზე, ოფშორულ არარეზიდენტებზე და მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირებზე.

ი) ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების

გადასახადისგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;

კ) არარეზიდენტის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

ლ) არარეზიდენტის და მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირის ჯაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა.

3) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი.

4) საგადასახადო კოდექსით დადგენილი ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით განეული წარმომადგენლობითი ხარჯი. საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაიბეგრება შემოსავლის 1%-ზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი ან კომპანია თუ ბარალზეა მაშინ გადასახადის გადამხდელის ხარჯების 1%-ზე მეტად განეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

გარდა აღნიშნულისა არსებობს შემთხვევები რაც გათანაბრებულია დივიდენდის განაწილებასთან. რეფორმის შედეგად არ იცვლება გადასახადის განაკვეთი და კვლავ 15% რჩება.

რეფორმის სიახლეს წარმოადგენს მოგების გადასახადის ჩათვლის შემოღება ცალკეულ ოპერაციებზე. გამომდინარე იქედან, რომ 2017 წელს კომპანიებს შეიძლება გადაყვეთ ბალანსზე გაუცემელი დივიდენდები, კანონმდებელმა გაითვალისწინა აღნიშნული და სპეციალური ფორმულის საფუძველზე შესაძლებელია 2008 წლიდან 2017 წლამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლა.

შესაძლებელია ჩათვლის გაკეთება უცხოეთში გადახდილ გადასახადზე და წყაროსთან დაკავებულ ან გადახდილ გადასახადის თანხის. ასევე შესაძლებელია მოგების გადასახადის თანხის შემცირების ჩათვლის გაკეთება შემდეგ 3 შემთხვევაში:

1) შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხა (ფაქტობრივად მიღებული თანხა);

2) გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის დაბრუნებული თანხა ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხა საანგარიშო პერიოდში;

3) სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის გაუქმებისას გაუქმების საანგარიშო პერიოდში სესხის ძირითადი თანხა.

პრობლემური საკითხები ახალ საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით

რეფორმის გადასახადი რეფორმამდელ პერიოდში წარმოადგენდა ერთ-ერთ რთულ გადასახადს, რომლის ადმინისტრირებისთვისაც შექმნილი იყო სპეციალური სიტუაციური სახელმძღვანელოები, რეფორმის ძალაში შესვლასთან ერთად აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა აღნიშნული მიმართულებებით;

ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია რეფორმამ გამოიწვიოს საგადასახადო ტვირთის გაზრდა გადასახადის გადამხდელთა გარკვეული წრისათვის, მაგალითად ვისაც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარჩათ გამოუყენებელი ზარალი.

გადასახადის გადამხდელები არ არიან მიჩვეულები მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარირებას, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას, რომ თავი აარიდონ შეცდომებს, შესაბამისად საგადასახადო ჯარიმებს. მეორეს მხრივ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით საბუთების შეგროვება ბიზნესისთვის სირთულეს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით რომ 30 რიცხვში განხორციელებულ ოპერაციაზე შეიძლება ვერ გქონდეს თვის ბოლომდე შესაბამისი საბუთი აღნიშნული არ უნდა განიხილებოდეს დასაბეგრ ოპერაციად, რასაც დეკლარირების ინტენსივობის შეცვლა ხელს შეუწყობს და ამავდროულად დაუზოგავს დროს ფინანსისტებს დეკლარირებისთვის, თავის მხრივ მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში საქართველო არ დაზარალდება, შესაბამისად კანონმდებლებმა უნდა იფიქრონ მოგების საგადასახადო დეკლარირების თვიურიდან კვარტალურ ან წელიწადში

ორჯერ დეკლარირებაზე გადასვლაზე, ის შეამცირებს და გაუადვილებს დეკლარირებას და ადმინისტრირებასაც, ამასთან ფისკალურად ის შეიძლება ბიუჯეტისთვის უფრო მომგებიანი იყოს, რადგან საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების შიში გადამხდელებს აქვთ, გამომდინარე საგადასახადო რისკების მატებისა.

რეფორმის შედეგად მიკრო ბიზნესი, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელები და მთის კანონის შესაბამისად შექმნილი სანარმოები შედარებით მშეორეხარისხოვან ბიზნესგარიგებების დროს მოგებით დასაბეგრი ოპერაცია ჩნდება. ამასთან მცირე ბიზნესის წილი, მთლიან ეკონომიკაში და დასაქმებაში გვაფიქრებინებს, რომ საგადასახადო შეღავათები მცირე ბიზნესის განვითარებას ყველაზე მეტად სჭირდება, კითხვის ნიშანს აჩენს მთის კანონით განსაზღვრული ბიზნეს შეღავათების არსებობა.

შესადგენია მოგებისა და საშემოსაბლო გადასახადისგან განთავისუფლებულ პირთა რეესტრზე ღია წვდომა, რათა ბიზნესისთვის ცნობილი იყოს ინ პირთა სტატუსი ვისთანაც ბიზნესს ურთიერთობის შედეგად გაუზღის საგადასახადო ვალდებულებას.

რეფორმის შედეგად, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებები და ოტშორებში არსებული გარიგებების საბაზრო ფასით შეფასების აუცილებლობა აძვირებს გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების და საგადასახადო ადმინისტრირების ხარჯებს. ამასთან, სატრანსფერო ფასნარმოქმნების დასკვნების შედგენა, საქართველოში აუდიტორული კომპანიების მიერ ცოდნატევადი, ინოვაციური და ძვირია.

რეფორმის შედეგად გაიზარდა ფიანსურ სტანდარტებზე ცოდნის მოთხოვნა, რაც პრობლემებს შეუქმნის ბიზნესს, გამომდინარე ბიზნესის განათლების არსებული დონისა.

ფულის დროითი ღირებულებიდან გამომდინარე ავანსების დღგ-თი დაბეგრვა, რაც ესტონური მოდელის ამოქმედებასთან ერთად შეიცვალა, გადამხდელებს უძვირებს ფულს დროში, მიუხედავად იმისა, რომ ავანსის დადასტურება მომავალში ჩათვლის მიღების უფლებას უტოვებს.

რეფორმა როგორც აღნიშნა სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ მთავრობამ გადანყვითა საბიუჯეტო დანახარჯები არ შეამციროს და პირიქით აქციზის გადასახადის ზრდით და ვალის აღებით აპირებს საბიუჯეტო დეფიციტის დასარვას, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი არ გაიზრდება, გამომდინარე იქედან, რომ მთავრობის ზომა მთლად შიდა პროდუქტებთან მიმართებით, რაც ესტონურ საგადასახადო რეჟიმს უნდა გამოეწვია არ მცირდება. ამასთან აქციზის ზრდა მომსახურებას ამცირებს რაც მშპ-ს ზრდის ტემპზე უარყოფითად მოქმედებს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მთავრობამ მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმა გაატარა, რომელსაც უნდა მოყოლოდა საბიუჯეტო რეფორმა მთავრობის ზომის მშპ-სთან ცვლილების თაობაზე, რაც სხვა თანაბარ პირობებში ეკონომიკურ ზრდას დააჩქარებდა, რადგან საგადასახადო და საბიუჯეტო სფერო ერთი მთლიანის, ფისკალური პოლიტიკის ნაწილებია.

მთავარი რამ, რასაც „ესტონური მოდელის“ დანერგვა ითვალისწინებს- გაუნაწილებელი მოგების გათავისუფლებაა საგადასახადო ტვირთისგან. „ესტონური მოდელის“ დანერგვის შემდეგ საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების დიდი ნაწილი ნაწილობრივ გათავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან, ანუ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების გაცემა დივიდენდის სახით ან მოახდენენ მოგების ისეთ განაწილებას, რომელიც არ უკავშირდება კომპანიის ბიზნეს საქმიანობას. შესაბამისად, „ესტონური მოდელი“ ითვალისწინებს დაბეგრას არა მოგების მიღებისთანავე, არამედ მოგების განაწილებისას.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2015 წელს დაანონსა მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება „ესტონური მოდელის“ დასანერგად. ამ მოდელის დანერგვის მიზანი ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებებზე დადებითი გავლენის მოხდენა იყო. ყოფილი ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, ესტონურ მოდელზე გადასვლა დააჩქარებდა ეკონომიკურ ზრდას; გააუმჯობესებდა კომპანიების ხელმისაწვდომობას ფინანსურ რესურსებზე; გაზრდიდა ბიზნეს აქტივების

ლიკვიდურობას, ასევე გაიზრდებოდა ბიზნესში არებული კაპიტალის მოცულობა; ბიზნეს სექტორი გახდებოდა უფრო მდგრადი კრიზისებისადმი; გაიზრდებოდა უცხოური ინვესტიციები და გამართივდებოდა საგადასახადო აღრიცხვა-ადმინისტრირება. ერთი სიტყვით, მთავრობა ვარაუდობდა, რომ ესტონეთში წარმატებით განხორციელებული რეფორმა საქართველოშიც მისცემდა ბიძგს ეკონომიკის განვითარებას, თუმცა, ესტონეთის წარმატება არ არის გარანტია იმისა, რომ მსგავსი მოდელი საქართველოშიც წარმატებული იქნება.

ძირითადად ესტონური მოდელის წარმატება განაპირობა თანმიმდევრულმა, დროში განწერილმა მზადებამ დიდი ცვლილებებისთვის. ესტონელები ამ რეფორმის მოსამზადებლად სხვა ტიპის რეფორმებსაც ახორციელებდნენ, რაც გრძელდებოდა არა ერთი, ან ორი წლის განმავლობაში, არამედ თითქმის 10 წელს.

ესტონეთში მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმები 1995 წლიდან დაიწყო. მოგების გადასახადის რეფორმა კი 2000 წელს განხორციელდა, რომლის მიხედვით, მოგების გადასახადით აღარ დაიხვევრებოდა გაუნაწილებელი მოგება. რეფორმამდე, მაგალითად, 1999 წლისთვის, ესტონეთში მთლიანი საგადასახადო შემოსავლების, დაახლოებით 6% ეჭირა მოგების გადახდას და განაკვეთი 21 %-ს შეადგენდა. მოგების გადასახადი ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ისევე როგორც საქართველოში, წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს, შესაბამისად, ამ საგადასახადო შემოსავალზე ნაწილობრივ უარის თქმა ხელისუფლებისთვის მტკივნეული პროცესია. თუმცა, როგორც საერთაშორისო გამოცდილებიდან ვიცით, მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის წნეხის შესუსტება ინვეს მოკლევადიან პერიოდში საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, გრძელვადიან პერიოდში ეს ფისკალური პოლიტიკა დიდი ალბათობით საგადასახადო შემოსავლების ზრდას განაპირობებს. ეს ვარაუდი გამართლდა ესტონური მოდელის განხორციელებისას. 2000 წელს ესტონეთში დაფიქსირდა მოგების გადასახადის მთლიანი მოცულობის მკვეთრი კლება. მისი წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლების მოცულობაში 6%-დან 2,3%-იან მინიმუმდე დაეცა. თუმცა, არსებობს ეკონომისტებისა და ფინანსისტების მხრიდან გამოთქმული საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ამ ტიპის საგადასახადო

შემოსავლების შემცირება ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებამაც გამოიწვია. 2001 წლიდან კი, ანუ რას მერე, რაც რეფორმა განხორციელდა, იზრდება მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების წილი და რაც ყველაზე მთავარია, მოგების გადასახადის მოცულობის წილობრივ ტრენდს მიჰყვება ესტონეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტრენდი.

საქართველოში, სადაც საგადასახადო სისტემა ისედაც ლიბერალურია, „ესტონური მოდელის“ შემოღებისგან ნაკლებ სარგებელს უნდა ველოდოთ, ვიდრე ამ რეფორმას თავად ესტონეთში მოჰყვა, სადაც გაუნაწილებელ მოგებაზე 21%-იანი გადასახადი გაუქმდა, საქართველოში კი რეინვესტირებულ ან დაგროვებულ მოგებაზე 15%-იანი გადასახადის ანულირება იგეგმება. ალექსანდრ ლუნგვისტისა (ნიუ-იორკის უნივერსიტეტი) და მიხაილ სმოლიანსკის (ფედერალური სარეზერვო სისტემა) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ მოგების გადასახადის შემცირებას მნიშვნელოვნად დადებითი ეკონომიკური შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც ამგვარი ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური რეცესიის დროს ხორციელდება. მკვლევარები ასევე ვარაუდობენ, რომ მოგების გადასახადის შემცირების დიდი მასშტაბებია საჭირო იმისთვის, რათა მიღწეულ იქნას რეალური ეკონომიკურ-სოციალური სარგებელი.

„ესტონური მოდელის“ პერსპექტივები სხვა კუთხითაც უნდა განვიხილოთ. იმ პირობებში, როდესაც საქართველოში იათ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გართულებულია, დაუბეგრავი გაუნაწილებელი მოგება, რომელიც განაპირობებს რეინვესტირებისთვის მეტ განკარგვად რესურსს, იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. „კვლევა და განვითარება“, რომელიც კომპანიებისაგან დამატებით ხარჯებს ითხოვს, სწორედ ის აუცილებლობაა, რასაც ქართულ კომპანიათა დიდი უმრავლესობა საჭიროებს, ესტონური მოდელი სწორედ მსგავსი რეინვესტირების მაპროვოცირებელია. ქართული კომპანიებისთვის ევროკავშირის ბაზარზე ადგილის დამკვიდრება, თითქმის შეუძლებელია დამატებითი ფინანსური ხარჯების გარეშე. ევროკავშირის ბაზარზე პოტენციური ექსპორტიორების

დაუბეგრავი გაუნაწილებელი მოგება კი შესაძლოა წარმართოს სწორედ ამ საექსპორტო პოტენციალის ასამაღლებლად.

გადასახადის ადმინისტრირების კუთხითაც „ესტონური მოდელის“ შემოღება მომგებიანი იქნება. ვინაიდან, მოგების გადასახადის დათვლის პრებლემურობა საქართველოს ფინანსური სექტორისთვის უცხო არ არის, ესტონური მოდელი გაუმარტივებს კომპანიებს ფინანსურ აღრიცხვას. ეს მოდელი, ასევე გაზრდის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მუშაობის ეფექტურობას. მაგალითად, ესტონური მოდელი გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთი ხარჯი ან განაცემი, რომლებიც შინაარსობრივად არ უკავშირდება კომპანიის ბიზნესსაქმიანობას, დაიბეგროს მოგების გადასახადის განაკვეთით, რათა თავიდან აიცილონ მოგების შეფარული განაწილება ხარჯების სახით, ანუ ერთი მხრივ კომპანიებსაც გაურთულდებათ მოგების გადასახადის შეფარვით განაწილება, ხოლო მეორე მხრივ, საგადასახადო სამსახურები შედარებით უფრო ზუსტად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. ამ მოდელის დანერგვის შედეგად, ჩვენ მივიღებთ შედარებით უფრო ეფექტური და ამავე დროს სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ საგადასახადო გარემოს.

ჩემი აზრით, ესტონურ მოდელთან არსებული პრობლემების შესაფასებლად რეალურ და ობიექტურ შეფასებებს გააკეთებენ მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც პრაქტიკულად შეეხება აქვთ ამ საკითხთან. ამიტომაც გადავწყვიტე, ნათელი სურათის მისაღებად გამომეკითხა რამოდენიმე კომპანიის ბუღალტერი, რომელთა შეფასებებს წარმოგიდგინო დანართის სახით.

დასკვნა

როგორც წესი, ნებისმიერი რეფორმა მიმართულია უკეთესი მდგომარეობისა და სიტუაციის შესაქმნელად. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის უპირველესი მიზანი ესტონური მოდელის შემოღებით იყო, რომ გაეძლიერებინა და უკეთესი გარემო შეექმნა ეკონომიკური განვითარების კუთხით. მოგების გადასახადი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პუნქტი არის კომპანიებისა და საწარმოების საქმიანობისთვის, ვინაიდან, მათი ფინქციონირების მთავარი ამოცანა არის მოგების გადასახადთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება, რადგან მათ სწორად და დროში განერილად უნდა დაგვეგონ როგორ და რაში გამოიყენებენ კომპანიის მოგებას.

ესტონური მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეების სრულად და ძირფესვიანად შეფასება, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან ორი წელია რაც ეს რეფორმა დაინერგა საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში კი ვერ მოხერხდება რეფორმის ობიექტურად შეფასება. კერძოდ, ის კომპანიები, რომლის მთავარი ამოცანა წარმოების გაზრდა და რეინვესტირებაა, რეფორმას შეათვასებენ დადებითად, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ისინი გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადისგან. ხოლო ის კომპანიები, რომლებმაც მიიღეს ზარალი, სკეპტიკურად და უარყოფითად შეათვასებენ აღნიშნულ მოდელს.

თემაში მოცემული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ესტონური მოდელი ჯერჯერობით წარმატებით ხორციელდება საქართველოში. რა თქმა უნდა, არ უნდა დაგვაფიქსდეს რომ რეფორმა შესაძლებელია ისეთივე წარმატებული ვერ აღმოჩნდეს ქართული სახელმწიფოსთვის როგორც არის ესტონეთში, რადგანაც ამაზე დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს ეკონომიკა ვითარდება და მთავრობა ცდილობს მიმართოს რეფორმებს ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღებად, ხოლო ესტონეთის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ქართული კომპანიების ბუღალტრები მაინც დადებითად აფასებენ ამ მოდელს.

უმრავლესობის აზრით, ესტონურმა მოდელმა გაამარტივა გადასახადების აღრიცხვის სისტემა, რადგანაც იგი აღრიცხავს ფულის მოძრაობის ოპერაციებს ყოველი თვის ჭრილში. რეფორმის დანერგვის შედეგად კი მივიღეთ უფრო ეფექტური, სწრაფი და ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი საგადასახადო გარემო. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, შპს „აქთივ ბათუმი“-ს ბუღალტრის შეფასება, რომელიც ფიქრობს რომ: „აღრიცხვის სისტემა არ გამარტივებულა, პირიქით, უფრო დეტალებზე ორიენტირებული და შრომატევადი გახდა“.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კომპანიების ბუღალტრების უმრავლესობა მაინც დადებითად უყურებს და აფასებს ესტონური მოდელის რეფორმის დანერგვას. ჩემი აზრით, ეს რეალურად ასეც არის თვითონ რეფორმის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს კომპანიებისა და ფირმების მოგების დაბეგვრას მხოლოდ მაშინ, როცა ამ მოგების განაწილება ხდება. არ შეიძლება უარყოფითად აისახოს ეს კომპანიის განვითარებაზე, რადგანაც სწორედ ეს უბიძგებს კომპანიას განვითარდეს, გაიზარდოს და მოახდინოს ფულის რეინვესტირება.

თითოეული კომპანია თუ საწარმო არის მცირე რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელიც ქმნის სრულ ეკონომიკურ სურათს. ეს იმას მიშნავს, რომ მათი წარმატებული საქმიანობა და ბიზნეს სექტორის განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღებას, განამტკიცებს და გააძლიერებს ბიზნესის გარემოს. რაც უფრო მიმზიდველი გარემო ექნება ქვეყანას, მეტი ინვესტორის მოზიდვას შეძლებს. ამიტომაც არის აუცილებელი ისეთი რეფორმის გატარება მთავრობის მხრიდან, რომელიც გაამარტივებს საგადასახადო სისტემას, გაათავისუფლებს ზედმეტი დოკუმენტაციების წარმოებისგან და დააინტერესებს უცხოურ ინვესტორებს სტაბილური მდგომარეობით.

ჩემი აზრით, ესტონური მოდელი წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ მის მორგებას ქართულ გარემოზე. გამოცდილება ძალიან დიდ როლს თამაშობს წარმატების მიღწევაში, ამიტომაც მომავალში უფრო გაუმჯობესებულ მდგომარეობას უნდა ველოდოთ. მთავარი ამოცანა არის სწორად დაგეგმილი

საფეხურები იმისთვის, რომ ხელი შევეწყოთ რეფორმის ეფექტურად და წარმატებულად განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- 1 ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე ე., საგადასახადო საქმე, თბილისი, თსუ, 2007
- 2 ბალცეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბილისი, 2002
- 3 გელაშვილი მ. ეკონომიკური რეფორმების მიმართულებები საქართველოში (საგადასახადო ადმინისტრაციის რეფორმა) უ. გადასახადები №8, 2007
- 4 თვალჭრელიძე ა., კერვალიშვილი პ., გეგია დ., ესაკია ს., სანაძე ს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, ანალიზი და უახლოესი პერსპექტივა, თბილისი, სანი 2002
- 5 კეკელიძე ლ. სახელმწიფო სტატუსი, მსოფლიო 2011, უ. ეკონომისტი
- 6 მიქელაშვილი მ., გადასახადები, თბილისი, სიტყვა, 2009
7. მენციუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, დიოგენე, 2008
8. მენარმეობა საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2013
- 9 მსოფლიო 2030, ფორბერს გეორგია, დეკემბერი 2011
- 10 მსოფლიოს ყველაზე მოქნილი საგადასახადო სისტემები, უ. საქართველოს ეკონომიკა, №12, 2007
11. საყვარიშვილი რ. ბიზნეს-კლიმატური გამოწვევა, უ. ბიზნესი №5 2008
12. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №376, 2010 წლის 3 ივნისი, „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“
13. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №5444-III 2011 წლის 9 დეკემბერი „საქართველოს 2012-2014 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“

14. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №5589-რს 2011 წლის 23 დეკემბერი. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“
15. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1551 2010 წლის 3 დეკემბერი, „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“
16. საქართველოს მთავრობის დადგენილება №39, 21 მაისი, 2004 წელი, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“
17. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №824, 31 ოქტომბერი, 2008წ., „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულების დამტკიცების შესახებ“
18. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, ბონაკაუზა, 2014
19. საქართველოს საგადასახადო კოდექსი- თბილისი, რაიზი, 2014,
20. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, თბილისი, 2009 წლის 22 ოქტომბერი
21. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები, თბილისი, ინოვაცია, 2010
22. სტატისტიკური წელიწადეული 2009, თბილისი, 2009
23. სტატისტიკური წელიწადეული 2010, თბილისი, 2010 2011
24. ურიდია გ., საგადასახადო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2011
25. ჩიკვილაძე მ., კოპალეიშვილი თ. გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი, თსუ, 2011
26. ჭეინე ჰ. ეკონომიკური აზროვნება, თბილისი თავისუფალი უნივერსიტეტი, 2011
27. Аронов А.В., Кашин В.А. Налоги и налогообложение – М., Магистр, 2009
28. Барулин С. В., Финансы – М., Кнорус, 2010
29. Боди З. Мертон Р. Финансы – М., Вильямс, 2009
30. Большая Экономическая Энциклопедия, - М., Эксмо, 2007
31. Большой Энциклопедический Словарь под ред. А.Н. Азрилияна, - М., Экономисть, 2007

- 32 Дернберг Р.Л. Международное налогообложение, М. ЮНИТИ-ДАНА, 1997
33. Друкер П. Задачи менеджмента в XXI в.М., Вильямс, 2000
- 34 История и философия экономики под ред. М.В. Конотопова. – М., Кнорус, 2008
- 35 Налоговый словарь, А.В. Началов, М., Налог – Инфо. 2004
36. Экономика налоговой политики, под ред. М. П. Девере М., Питер. 2002
37. Brunori D. State Tax Policy: A Political Perspective , Urban Inst. Pr., 2008
38. Cordes J. The Encyclopedia of Taxation And Tax Policy, Urban Inst. Pr., 2005
39. Diamond J., Zodrow G., Baker J. Fundamental Tax reform: Issues, Choices and Implications, The MIT Press,2008
40. Edwards Ch., Mitcell D. Global Tax Revolution, Cato Institute, 2008
41. [www. britannica.com/EBchecked/topic/584578/taxation](http://www.britannica.com/EBchecked/topic/584578/taxation)
42. . <http://www.frbsf.org/economics/conferences/0503/bdw2final.pdf>
43. <http://www.ifs.org.uk. publications>
44. http://www.iifs.de/index_en.php.
- 45<http://www.matsne.gov.ge/index.php?option=comIdmssearch&view=docView&id=1405264>.
- 46 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo.-
47. <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia?topic=paying-taxes.->
- 48 http://www.parliament.ge/index.php?geo=geo&search_string=ucxoeTis presa saqarTvelos Sesaxeб. &sec_id=18&lang_id=GEO&lim -
49. <http://www.pwc.com/gx/en/paying-taxes/find-country.jhtml>.
50. <http://www.rs.ge/4905 ->

1) რამდენად გამართვია მოგების გადასახადის ესტონურმა მოდელმა აღრიცხვის სისტემა?

მოგების გადასახადის ესტონურმა მოდელმა მეტნაკლებად გამართვია აღრიცხვის სისტემა, მაგრამ არა სრულად. ახალმა სისტემამ უფრო მეტად შრომატევადი გახადა აღრიცხვის და დაბეგვრის კუთხით, რამდენადაც მოგების გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხდება ყოველთვიურად, თუმცა უფრო ნათელი და გამჭვირვალე უნდა გახადოს კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგები.

2) თქვენი აზრით, არის თუ არა დაკავშირებული მშპ-სთან ესტონური მოდელი?

რამდენადაც მთლიანი შიდა პროდუქტი(მშპ) და მისი ზრდის ტემპი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის მთავარი მაჩვენებელია, და მისი ერთ-ერთი ნაწილი ინვესტიციებია, ის დაკავშირებულია ახალ ესტონურ მოდელთან.

მშპ $Y = (C+I+G+Nx)$, სადაც, C- მოხმარება, I- ინვესტიცია, G- სახელმწიფო შესყიდვები,

Nx- წმინდა ექსპორტი.

3) თქვენი აზრით უწყობს თუ არა ხელს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ესტონური მოდელი და რატომ?

ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა-განვითარების ყველაზე სანდო ინდიკატორად მშპ-ის ზრდის ტემპი განიხილება. ამ ტემპის დასაჩქარებლად და ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროა ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ესტონური მოდელის მიხედვით ბიზნესი განსაზღვრულ დონემდე თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. მოგების გადასახადი გადაიხდება მხოლოდ დივიდენდის განაწილების ეტაპზე, უფრო კონკრეტულად კი- არ დაიბეგრება მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც განხორციელდება ბიზნესში. მოდელს ახასიათებს საგადასახადო ადმინისტრირების სიმარტივე და ორიენტირებულია ეკონომიკური აქტივობის ზრდაზე.

4) რაში მდგომარეობს ესტონური მოდელის, როგორც საგადასახადო რეფორმის არსი?

ახალი საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს კაპიტალის რეინვესტირებაში. კომპანიებს უფლება ექმნებათ დაუბეგრავად განახარციელოს მოგების რეინვესტირება, გააფართოს ან გადააიარაღოს წარმოება ან დეპოზიტზე შეინახოს იგი. მოგების გადასახადის გადახდა ყოველთვიურად ხდება, საწარმოებს საშუალება ეძლევათ წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეცვალონ მოგების განაწილების გეგმა და საინვესტიციო პოლიტიკა. მოგების რეინვესტირების უფლება ერთნაირად აქვთ მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს. შედეგად, ინვესტიციების განხორციელების მოტივაცია იზრდება. ამდენად, როცა ბიზნესს მეტი ფინანსური რესურსი რჩება დაუბეგრავი მოგების სახით, ამით კანონმდებლობა უზიბგებს მას განახორციელოს რეინვესტიცია, გააფართოოს წარმოება, რაც კავშირშია უმუშევრობის შემცირებასთან, ეკონომიკისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასთან.

ამდენად რეფორმის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმეებმა არ გადაიხადონ მოგების გადასახადი თუ შემოსავლების ინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში, არ დახარჯავენ ფულს სამეწარმეო საქმიანობის მიღმა და არ გაწევენ სამეწარმეო საქმიანობით დადგენილ წარმომდგენლობით ე.წ. სადღესასწაულო ზრაჯებს ნორმაზე მეტად, არ შეამცირებენ ურთიერთდმოკიდებულ და ოფშორულ კომპანიებთან საბაზრო გარიგებებით დადგენილ საბაზრო ფასს, არ შეიძენენ უსაბუთოდ საქონელს ან მომსახურებას, ნაკლები

1) რამდენად გაამარტივა მოგების გადასახადის ესტონურმა მოდელმა აღრიცხვის სისტემა?

ესტონურმა მოდელმა უაღრესად გაამარტივა აღრიცხვის სისტემა, გამომდინარე იქიდან, რომ თანხების მოძრაობა აღრიცხება ყოველი თვის ჭრილში.

2) თქვენი აზრით, არის თუ არა დაკავშირებული მშპ-სთან ესტონური მოდელი?

ჩვენმა ქვეყანამ გადაწყვიტა მშპ-ს გაზრდა, ამისთვის ერთ-ერთ გზად საგადასახადო რეფორმა აირჩია. შესაბამისად მშპ და ესტონური მოდელი ერთმანეთთან კავშირშია.

3) თქვენი აზრით უწყობს თუ არა ხელს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ესტონური მოდელი და რატომ?

ქვეყანაში მიმდინარეობს ბიზნესის ხელშეწყობის, რეფორმების და სიახლეების დანერგვის პოლიტიკა, რომლის მიზანიც ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაა.

4) რაში მდგომარეობს ესტონური მოდელის, როგორც საგადასახადო რეფორმის არსი?

ესტონური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში რომ შეწარმეებმა მოგების გადასახადი გადაიხადონ მაშინ, როცა ნამდვილად გავა თანხა საწარმოდან და არა ვირტუალურ ფულზე.

5) როგორ შეაფასებთ მოგების გადასახადის ჩათვლის სისტემის შემოღებას (დადებითად, უარყოფითად) და რატომ?

ესტონური მოდელის ძალიან კარგი ნაწილია, რადგან განვლილი პერიოდების დაგროვებული დივიდენდების გაცემისას შესაძლებელი გახდა მოგების გადასახადის ჩათვლა.

6) რამდენად სამართლიანია, რომ რეფორმა არ შეეხო დაბეგვრის სპეციალური რეჟიმების მქონე (მაგ: ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) სუბიექტებს?

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის მქონე სუბიექტებს განსხვავებული სისტემა აქვს და შეიძლება ითქვას რომ დიდად არ საჭიროებდენ ესტონურ მოდელს, მაგრამ ეს საკითხი მაინც სადაოა.

7) რა შედეგი მოუტანა ესტონურმა მოდელმა თქვენს საწარმოს?

- 1) რამდენად გამარტივა მოგების გადასახადის ესტონურმა მოდელმა აღრიცხვის სისტემა?
 - ესტონური მოდელი გაუმარტივებს კომპანიებს ფინანსურ აღრიცხვას, ამ მოდელის დანერგვის შედეგად მივიღებთ უფრო ეფექტურ სწრაფ და ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ საგადასახადო გარემოს.
- 2) თქვენი აზრით, არის თუ არა დაკავშირებული მშპ-სთან ესტონური მოდელი?
 - მოგების ესტონური მოდელი ხელს უწყობს მშპ-ს ზრდის ტემპის დაჩქარებას
- 3) თქვენი აზრით უწყობს თუ არა ხელს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ესტონური მოდელი და რატომ?
 - მოგების ესტონური მოდელი ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, რეფორმას აქვს ინვესტიციების წამახალისებელი ეფექტი და გამოიწვევს წმინდა ინვესტიციების ზრდას.
- 4) რაში მდგომარეობს ესტონური მოდელის, როგორც საგადასახადო რეფორმის არსი?
 - ესტონური მოდელის, როგორც საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეწარმეები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს, თუ კომპანიის შემოსავლების ინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში.
- 5) როგორ შეაფასებთ მოგების გადასახადის ჩათვლის სისტემის შემოღებას (დადებითად, უარყოფითად) და რატომ?
 - მოგების გადასახადის ჩათვლის სისტემის შემოღებას ვაფასებთ დადებითად. კომპანიებს შეიძლება გადაეცეთ ბალანსზე გაუცემელი დივიდენდები. ესტონური მოდელი ითვალისწინებს აღნიშნულს და სპეციალური ფორმულის საშუალებით შესაძლებელია 2008 წლიდან 2017 წლამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდების განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდში დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლას.
- 6) რამდენად სამართლიანია, რომ რეფორმა არ შეეხო დაბეგვრის სპეციალური რეჟიმების მქონე (მაგ: ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) სუბიექტებს?
 - რეფორმა, რომ არ შეეხო დაბეგვრის სპეციალური რეჟიმების მქონე სუბიექტებს, ჩემი აზრით სამართლიანია, რადგან ბანკები და მიკრო - საფინანსო ორგანიზაციები

1) რამდენად გამართულია მოცემის გადასახადის ესტონურმა მოდელმა აღრიცხვის სისტემა?

საკმაოდ გამართულია.

2) მოცემი აზრით, არის თუ არა დაკავშირებული მშპ-სთან ესტონური მოდელი? არა.

3) თქვენი აზრით უწყობს თუ არა ხელს ეკონომიკური ზრდის დასტურებას ესტონური მოდელი და რატომ?

ხელს უწყობს.

4) რაში მდგომარეობს ესტონური მოდელის, რაგორც საგადასახადო რეჟიმის არხი? გამართლებულია დაზღვევის და ხარჯების ჩათვლის სქესა.

5) როგორ შეაფასებთ მოცემის გადასახადის ჩათვლის სისტემის შემოღებას (დადებითად, უარყოფითად) და რატომ?

დადებითად.

6) რამდენად სამართლიანია, რომ რეგონმა არ შეეხო დაზღვევის სპეციალურ რეჟიმებს: შკონე (მაგ. ზანკები და შიკროსაღმანასი პარამოხაციები) სუბიექტებს?

ეფექტობს სამართლიანია.

7) რა შედეგი მოუტანა ესტონურმა მოდელმა თქვენს საგარბოს?

გამართულია დაუდასტურებელი ხარჯის ასახვა

8) როგორ შეაფასებდით ავანსების დაბეგრას მოცემის გადასახადით?

ეფექტობს სწორია და ერთგვარია შედეგითა და გამსაღებლისათვის.

9) ეფექტობს თუ არა რომ ცალკეულ შემსახვევებში რეგონსამ გაზარდა საგადასახადო ტვირთი?

არა.

მშპ აჭარა ტექსტილის მუდარტერი: მაცო ხუხუაიაშვილი.

წ. ხუხუაიაშვილი

- 1) რამდენად გაამარტივა მოგების გადასახადის ესტონურმა მოდელმა აღრიცხვის სისტემა?
 - ნაწილობრივ გაამარტივა. რადგანაც უფრო მეტად შრომატევადი გახდა აღრიცხვის სისტემა.
- 2) თქვენი აზრით, არის თუ არა დაკავშირებული მშპ-სთან ესტონური მოდელი?
 - დიას დაკავშირებულია.
- 3) თქვენი აზრით უწყობს თუ არა ხელს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ესტონური მოდელი და რატომ?
 - უწყობს. იმ მხრის რომ საავანსოები აღარ ერიცხება
- 4) რაში მდგომარეობს ესტონური მოდელის, როგორც საგადასახადო რეფორმის არსი?
 - არსი იმაში მდგომარეობს ,რომ ეხმარება ზიზნესის განვითარებაში რადგან მოგების გადასახადი არ აქვთ გადასახდელი , სანამ ფული არ გავა კომპანიიდან. მეტ სტიმულს აძლევს კომპანიებს.
- 5) როგორ შეაფასებთ მოგების გადასახადის ჩათვლის სისტემის შემოღებას (დადებითად, უარყოფითად) და რატომ?
 - დადებითად, რადგან სახელმწიფო არ უკარგავს კომპანიას გადახდილ თანხებს.
- 6) რამდენად სამართლიანია, რომ რეფორმა არ შეეხო დაბეგვრის სპეციალური რეჟიმების მქონე (მაგ. ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) სუბიექტებს?
 - კომპეტენტური არ ვარ მაგ საკითხში.
- 7) რა შედეგი მოუტანა ესტონურმა მოდელმა თქვენს საწარმოს?
 - საკმაოდ ადვილად დაიწვეს ზიზნესი.
- 8) როგორ შეაფასებდით აენსების დაბეგვრას მოგების გადასახადით?
 - დადებითად.
- 9) ფიქრობთ თუ არა რომ ცალკეულ შემთხვევებში რეფორმამ გაზარდა საგადასახადო ტვირთი?
 - არ გაზარდილა

შპს ჯეო ფასად სისტემს სკ 406260148

ბუღალტერი : მანანა აბუსელიძე



1) რამდენად გამართივა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი აღრიცხვის სისტემა?

ესტონური მოდელი უადრესად გამართივა აღრიცხვის სისტემა, რადგან ესტონური მოდელი აღრიცხვას ფულის მოძრაობის ოპერაციებს მათი მოხდენის თანავე.

2) თქვენი აზრით, არის თუ არა დაკავშირებული მშპ-სთან ესტონური მოდელი?

ქვეყნის მთლიანი შდა პროდუქტის ზრდა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამისთვის სახელმწიფო სხვადასხვა ზომებს მიმართავს, მათ შორის არის საგადასახადო რეფორმებიც. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ რომ მშპ და ესტონური მოდელი, როგორც საგადასახადო რეფორმა ერთმანეთთან პოზიტიურ კავშირშია.

3) თქვენი აზრით უწყობს თუ არა ხელს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ესტონური მოდელი და რატომ?

თუ ქვეყანაში ბიზნესის კეთება გამართივდება, შესაბამისად გაჩნდება ბევრი ახალი საქმე, შემოსავალი ეს ყველაფერი კი რეფორმებზეა დამოკიდებული. ესტონური მოდელი საგადასახადო რეფორმაა, შესაბამისად უწყობს ხელს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

4) რაში მდგომარეობს ესტონური მოდელის, როგორც საგადასახადო რეფორმის არსი?

ესტონური მოდელის არსი მდგომარეობს იმაში რომ მეწარმეებმა არ გადაიხადონ მოგების გადასახადი ვირტუალურ ნამეტზე.

5) როგორ შეაფასებთ მოგების გადასახადის ჩათვლის სისტემის შემოღებას (დადებითად, უარყოფითად) და რატომ?

დადებითად, რადგან განვლილი პერიოდების დაგროვებული დივიდენდების გაცემისას შესაძლებელი გახდა მოგების გადასახადის ჩათვლა.

6) რამდენად სამართლიანია, რომ რეფორმა არ შეეხო დაბეგვრის სპეციალური რეჟიმების მქონე (მაგ: ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) სუბიექტებს?

ვთვლი, რომ სამართლიანია, რადგან დაბეგვრის სპეციალური რეჟიმის მქონე სუბიექტებს, გამომდინარე მათი საქმიანობიდან არ სჭირდებათ ყოველთვიური დეკლარირება (მოგების გადასახადი).

1) რამდენად გამართივა მოგების გადასახადის ესტონურმა მოდელმა აღრიცხვის სისტემა?

აღრიცხვის სისტემა არ გამართივებულა, პირიქით, უფრო დეტალურზე ორიენტირებული და შრომატევადი გახდა.

2) თქვენი აზრით, არის თუ არა დაკავშირებული მშპ-სთან ესტონური მოდელი?

დიახ, დაკავშირებულია, აღნიშნული რეფორმა აძლევს არჩევანის უფლებას კომპანიას რომ აწარმოოს ან შეიძინოს ადგილობრივი წარმოების საქონელი და წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიბეგროს გადასახადით. მშპ კი ადგილობრივი ჩვენს ქვეყანაში წარმოებული საქონლის და მიმსახურების ღირებულების მაჩვენებელია

3) თქვენი აზრით უწყობს თუ არა ხელს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას ესტონური მოდელი და რატომ?

დიახ, ვინაიდან კომპანიები შეეცდებიან აღარ გამოიყენონ მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციები (დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები, წარმომადგენლობით ხარჯები და ა.შ.) იმისათვის, რომ არ დაიბეგროს.

4) რაში მდგომარეობს ესტონური მოდელის, როგორც საგადასახადო რეფორმის არსი?

აღნიშნული რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხელს უწყობს რეინვესტირების განხორციელებას, კერძოდ მიღებული შემოსავლების ხარჯზე კომპანიის ზრდის პერსპექტივას და მის მდგრადობას.

5) როგორ შეაფასებთ მოგების გადასახადის ჩათვლის სისტემის შემოღებას (დადებითად, უარყოფითად) და რატომ?

მოგების გადასახადის ჩათვლის სისტემა საგადასახადო რეფორმის ეფექტურობის მაჩვენებელია, კომპანიებს საგადასახადო ტვირთს უმსუბუქებს და აძლევს საშუალებას მაგ. გაემული სესხი დროში დაიბრუნოს, რათა ჩათვლა მიიღოს.